



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი  
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სახელწოდება სწავლის  
სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით

მოდის, ინტერიერის და სამრეწველო დიზაინის კლასტერი:

“მოდის დიზაინი” (ბაკალავრიატი)  
“დიზაინი ტექსტილის და ინტერიერისათვის” (ბაკალავრიატი)  
“მოდის დიზაინი” (მაგისტრატურა)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი  
2023 წლის 11-12 ივლისი

დასკვნის წარდგენის თარიღი  
14.09.2023

თბილისი

## შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ.....	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა.....	56
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.....	23
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა.....	23
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა .....	53
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.....	65
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა .....	71
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....	92

**ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ**

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049
დაწესებულების ტიპი	უნივერსიტეტი

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

<b>თავმჯდომარე</b> (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მარია შტრანეკოვა, MOD'Spe Paris CE, სლოვაკეთი და TBU Zlín, ჩეხეთი
<b>წევრი</b> (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნანო მგალობლიშვილი, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, საქართველო
<b>წევრი</b> (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მარიამ მახარაძე, ფაქტურა ატელიე, საქართველო
<b>წევრი</b> (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თინათინ გაბრიჩიძე, ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო
<b>წევრი</b> (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნინო ჯავახიშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2	პროგრამა 3					
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	მოდის დიზაინი	დიზაინი ტექსტილის და ინტერიერისთვის	მოდის დიზაინი					
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა					
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	მოდის დიზაინის ბაკალავრი	დიზაინის ბაკალავრი	მოდის დიზაინის მაგისტრი					
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0212 მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული/სამრეწველო დიზაინი	0212 მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული/სამრეწველო დიზაინი	0212 მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული/სამრეწველო დიზაინი					
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება <sup>1</sup>								
სწავლების ენა	ქართული	ქართული	ქართული					
ECTS კრედიტების რაოდენობა	240	240	120					
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არაკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით	აკრედიტებული # 33 16.09.2011	ახალი	ახალი					

<sup>1</sup>(მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

(ნომერი, თარიღი)								
------------------	--	--	--	--	--	--	--	--

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ<sup>2</sup>**

აკრედიტებულ კლასტერს, როგორც საგანმანათლებლო პროგრამას, 55 წლიანი ფუნქციონირებისა და უწყვეტი განვითარების ისტორია აქვს. იგი თავდაპირველად ჩამოყალიბდა როგორც საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის „სურსათის და მსუბუქი მრეწველობის“ ფაკულტეტის ფილიალი - სახელწოდებებით „ტანსაცმლის ტექნოლოგია“ და „ტყავის ტექნოლოგია“. 1990 წელს ეს სპეციალობები მოდერნიზდა - „ტანსაცმლისა და ტყავის ნაწარმის ტარების ტექნოლოგია და დიზაინი“. 1999 წლიდან შესაფერისმა სახელწოდებამ - "გამოყენებითი დიზაინი" - გავლენა მოახდინა მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებაზე და ქუთაისი, როგორც ეს თვითშეფასების ანგარიშშია ნათქვამი, იქცა ტანსაცმლისა და განსაკუთრებით ფეხსაცმლის წარმოების ცენტრად. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ინჟინერიის ფაკულტეტის ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულება სამრეწველო საწარმოებთან კავშირია. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ტექსტილისა და ინტერიერის დიზაინი“ (თვითშეფასების ანგარიშში არის შეცდომა, წერია Interior ნაცვლად Interior-ისა) გამომდინარეობს ბაზრის მოთხოვნებიდან და 2017, 2018, 2020 წლებში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს განვითარების სტრატეგიის ფარგლებში დაფიქსირებული შედეგებიდან, რომელიც ეხებოდა ინტერიერის დიზაინისა და დეკორაციის სპეციალისტებზე გაზრდილ მოთხოვნას. „მოდის დიზაინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეიქმნა არსებული, „გამოყენებითი დიზაინის“ საბაკალავრო პროგრამის საფუძველზე, რომელიც უნივერსიტეტში 1995 წლიდან ხორციელდება და ეფუძნება უმაღლესი განათლების სფეროში განხორციელებულ რეფორმებს, საკანონმდებლო აქტებში ცვლილებებს, სწავლა/სწავლებისა და შეფასების სისტემების გამრავალფეროვნებას, პრაქტიკულ და ლაბორატორიულ სამუშაოებზე დაკვირვებას, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგებს ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების წარმოების დარგში. სამაგისტრო პროგრამა "მოდის დიზაინი" ახალია და შესაბამისად პროგრამის პაკეტი ახალი შემუშავებულია. პროგრამა ორიენტირებულია მაღალკვალიფიციური, წარმატებული, შემოქმედებითი პოტენციალის მქონე პროფესიონალების მომზადებაზე, რომლებიც მოთხოვნადი იქნებიან მოდის ინდუსტრიაში, შეძლებენ წარმატებით განხორციელონ შემოქმედებითი პრაქტიკული საქმიანობა შეძენილი სპეციფიკური ცოდნისა და ტრანსფერული უნარების გამოყენებით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 11-12 ივლისს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში (თამარ მეფის ქ. N59). ვიზიტამდე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები და ექსპერტთა ჯგუფი ონლაინ შეხვედრენ ერთმანეთს 2023 წლის 7 ივლისს. მათ დაგეგმეს და განიხილეს წინასწარი კითხვები და თვითშეფასების ანგარიში. 11 ივლისს, აღნიშნულ დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში, 10 საათზე დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. თითო შეხვედრა გაგრძელდა დაახლოებით ერთ საათს. სამუშაო გრაფიკის მიხედვით გაიმართა შეხვედრა/ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან,

---

<sup>2</sup>პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

პროგრამის ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან და დამსაქმებლებთან. ასევე, ვიზიტის ფარგლებში შემოწმდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (ბიბლიოთეკა, აუდიტორიის ოთახები, ლაბორატორიები, ოფისები და ა.შ.).

სამუშაო შეხვედრამ ჩაიარა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და კონკრეტულ საკითხებზე დისკუსიით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამები თითოეული სტანდარტის მიხედვით. შეხვედრებს მუდმივად ესწრებოდა ინგლისური ენის თარჯიმანი.

პირველი ზოგადი შთაბეჭდილება რაც ადგილზე ვიზიტიდან დაგვრჩა ეს იყო, ფართო, თუმცა სამწუხაროდ მოძველებული შენობები და არასათანადოდ მოვლილი სივრცე ინტერიერისა და გარემოს კუთხით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

#### **მოდის დიზაინი (ბაკალავრიატი)**

სტანდარტი 1: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

#### **დიზაინი ტექსტილის და ინტერიერისთვისზაინი, ბაკალავრიატი:**

სტანდარტი 1: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

#### **მოდის დიზაინი (ბაკალავრიატი):**

სტანდარტი 1: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

**კლასტერი:**

- საწარმოო პრაქტიკის პროცესში რეკომენდებულია ინტერდისციპლინარული პროექტების შემუშავება - კრეატიულობის, ტექნოლოგიების, დიზაინისა და სავაჭრო ინსტრუმენტების შერწყმა და უნარების გამოყენება;
- რეკომენდებულია გამოგონებისა და კრეატიულობის გაზრდა, თუ როგორ მოხდეს ტრადიციული საოსტატო უნარების ტრანსფერი დიზაინის დონეზე;
- რეკომენდებულია პროფესიული ურთიერთობების მეტად გაფართოება მოდის სფეროს წარმომადგენლობით კომპანიებთან;
- პროგრამების მიზნებიდან გამომდინარე, აუცილებელია მასწავლებელთა უწყვეტი განვითარებისათვის შესაბამისი ღონისძიებების შემუშავება (უწყვეტი განათლების პროგრამები, საგანმანათლებლო და შემოქმედებითი პროგრამები, მუდმივი კონტაქტები საერთაშორისო და ადგილობრივ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, ხელოვნების წარმომადგენლებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო პრაქტიკოსებთან) და საერთაშორისო და ადგილობრივ სემინარებისა და მასტერკლასების აქტიურად ჩატარება მოწვეული პრაქტიკოსების მიერ;
- რეკომენდებულია კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების განვითარებისათვის საჭირო ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

### **პროგრამა 1 (მოდის დიზაინი, ბაკალავრიატი):**

- გასათვალისწინებელია დისციპლინის („ინფორმაციული ტექნოლოგია“) სახელწოდების შეუსაბამობა პროგრამის შინაარსთან - დისციპლინა „ინფორმაციული ტექნოლოგია“ შეისწავლის ქსელის ინჟინერიას (მონაცემთა ბაზები, ქსელები და საკომუნიკაციო სისტემები, ვებ სისტემები, ინფორმაციის დაცვა და უსაფრთხოება, გამოთვლითი ხელსაწყოები და ა.შ.), ხოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, დისციპლინაში ისწავლება გრაფიკული პროგრამები (Adobe Photoshop, CorelDRAW, Microsoft PowerPoint ამაზადებს პრეზენტაციას). ამიტომ რეკომენდირებულია ეს კურსი მომდევნო სემესტრში შესაბამისი შინაარსით ისწავლებოდეს. არქიტექტურის საფუძველზე, სამუშაო უნდა განხორციელდეს სივრცეში, დიზაინის მეთოდებით (ეს ხელს უწყობს სივრცითი აზროვნების განვითარებას და ა.შ.). პრაქტიკული მუშაობისთვის სასურველია დაემატოს საკონტაქტო საათი;
- წინაპირობა "გრაფიკა" არ შეესაბამება დისციპლინას "ფორმირების საფუძვლები", რადგან კურსის "ფორმირების საფუძვლების" მიზანი და შედეგები განსაზღვრავს მოდის ილუსტრაციის შინაარსს (კოსტუმის ფორმა, ფერი და შინაარსი, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის გამოყენება, ტექსტურები კოლაჟში და ა.შ.), როდესაც „გრაფიკის“ სილაბუსში მიზნები და შედეგები მოიცავს ობიექტების პროპორციების წრფივ-კონსტრუქციულ აგებას, ხაზოვან პერსპექტივას, ქიაროსკუროს ფორმებს, ფონის დაჩრდილვას და შეფასება განისაზღვრება გრაფიკული კომპოზიციის ხარისხით (ნატურმორტი საყოფაცხოვრებო ნივთებით, ნატურიდან მარტივი თაბაშირის რელიეფის დახატვა და ა.შ.);
- სავალდებულო დისციპლინებს წინაპირობად არ უნდა ჰქონდეს არჩევითი დისციპლინები, მაგალითად, პროგრამაში სავალდებულო დისციპლინებს "ფეხსაცმლისა და ტყავის ნაწარმის ტექნიკური მოდელირების საფუძვლები" და "ტანსაცმლის ტექნიკური მოდელირების საფუძვლები" წინაპირობად აქვთ არჩევითი დისციპლინები "ტექნიკური ნახაზის საფუძვლები" და „ტექნიკური იკონოგრაფია“.



## პროგრამა 2 (დიზაინი ტექსტილის და ინტერიერისთვისაინი, ბაკალავრიატი):

- რეკომენდებულია, რომ კურსების სტრუქტურაში შევიდეს შემდეგი დარგის მეტი საგანი: თანამედროვე დიზაინი, დიზაინის თეორია, სტილი და სხვა;

## პროგრამა 3 (მოდის დიზაინი, მაგისტრატურა):

- დისციპლინა "მოდის ჟურნალის გრაფიკა" - ამ საგნის დასახელება რეკომენდირებულია განისაზღვროს, როგორც "სპეციალური ნახატი", "კოსტიუმების დიზაინი" და ა.შ., რადგან სასწავლო გეგმის შინაარსის მიხედვით, დისციპლინის ამოცანაა ტანსაცმლის ან ტანსაცმლის დიზაინის გრაფიკული გამოსახულების სწავლება. ასევე რეკომენდებულია, რომ საჭირო ლიტერატურა მოიცავდეს სპეციალურ ლიტერატურას, რომელიც დაკავშირებულია მოდის ილუსტრაციასთან;
- უნივერსიტეტმა უნდა მოიწვიოს/დაასაქმოს ახალი პედაგოგიური პერსონალი, ძირითადად მოდის დიზაინის სფეროში მოღვაწე მოწინავე პირები, რომელთაც შეუძლიათ აბსოლუტურად უზრუნველყონ მაგისტრანტების პროდუქტიული ხელმძღვანელობა.

## • რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

### კლასტერი:

- სასურველია აქტიურად იყოს წარმოდგენილი კლასგარეშე აქტივობები (როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი), რომლებიც ასახულია თვითშეფასების პროგრამაში;
- სასურველია კლასტერში შემავალი პროგრამების ინტეგრაციის პოლიტიკის გაძლიერება, კერძოდ - საგანმანათლებლო პროგრამების პარალელურად მოწვეულნი იქნებიან საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტები პროექტებზე დაფუძნებული სწავლების ფორმატში სტუდენტებისთვის სემინარების, მასტერკლასებისა და საინტერესო შეხვედრების ჩასატარებლად; საბაკალავრო და სამაგისტრო სამუშაოს აფასებენ დამოუკიდებელი ექსპერტები, მოდის ინდუსტრიაში მომუშავე წარმატებული პრაქტიკოსები (დიზაინერები, ბიზნესმენები, მოდის მედიის წარმომადგენლები);
- სტუდენტებისთვის უნდა მოეწყოს ხელოვნების სარეზიდენტო პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობები და ა.შ.
- სასურველია, შემუშავდეს კონკრეტული პროგრამების ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია;
- დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ დასაქმების არეალი ძირითადად მოიცავს საშემსრულებლო პოზიციებს, ამიტომ მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პროცესში იმ დისციპლინების აქტიური ჩართვის გათვალისწინება, რომლებიც, გარდა დარგის მიმართულებით პრაქტიკული უნარებისა, ხელს უწყობენ დიზაინის აზროვნების განვითარებას, მით უმეტეს, მაშინ როცა საუკეთესო პრაქტიკის კლასტერის პროგრამების შემუშავების მაგალითად უცხოური სკოლები გამოიყენება, რომელთა შედეგები ორიენტირებულია თეორიაზე/პრაქტიკაზე,

ინტერდისციპლინარული მიდგომების, შემოქმედებითი აზროვნების, ექსპერიმენტული აქტივობების გათვალისწინებით და ა.შ.

- სასურველია მეტი ადგილობრივი და ძირითადად საერთაშორისო კონტაქტების გაზრდა პროფესიულ სფეროში;
- რეკომენდებულია კლასტერის პროგრამების შესახებ ინფორმაციის განახლება სოციალურ მედიაში;
- სასურველია კურსების სტრუქტურაში ჩართული იყოს უფრო მეტი საგანი და თემა თანამედროვე დიზაინის, დიზაინის თეორიის, სტილის სფეროდან.
- სასურველია მოდის პროგრამის ვებგვერდის, ინსტაგრამის პროფილის ჩამოყალიბება, ახალი პროგრამისთვის ინფორმაციის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რაც მოიზიდავს სტუდენტებს, ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებს, საინტერესო თანამშრომლობას, უცხოელ პირებს და ა.შ.
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში მიზანშეწონილია და სასურველია ბიზნეს სექტორის და კრეატიული ლიდერების აქტიური ჩართვა, რაც გააძლიერებს მთელ პროგრამას, „მიაღწევს რა ოპტიმალურ შედეგებს, სასწავლო და მეთოდოლოგიურ პროცესში თეორიული, პრაქტიკული და შემოქმედებითი ასპექტების სინერგიით“;
- სასურველია მეტი პრაქტიკული საგნების დამატება;
- სასურველია დიზაინზე ორიენტირებული საგნების ხილვადობა და მკაფიო სტრუქტურა;
- სასურველია გაიზარდოს პრაქტიკული დისციპლინების საკონტაქტო საათები, სასწავლო კურსების სპეციფიკისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით;
- სასურველია საგანმანათლებლო პროცესს აქტიურად დაემატოს მომიჯნავე ზოგადი ჰუმანიტარული დისციპლინები (არჩევითი დისციპლინების სახით), რაც დაეხმარება სტუდენტებს მრავალმხრივი საბაზისო თეორიული ცოდნის შექმნაში, ინტელექტუალური და კულტურული თეზაურუსის ჩამოყალიბებაში;
- სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის მითითებულ ჩამონათვალში სასურველია შეიტანოთ მეტი ლიტერატურა ახალ ტექნოლოგიებზე, მშენებლობაზე, ციფრულ ტექნოლოგიებზე, მოდის თეორიაზე და ა.შ.
- სწავლის დასაწყისში სასურველია სპეციალიზებული დისციპლინების საფუძვლების სწავლება;
- სასურველია პორტფოლიოს დიზაინის პრინციპების გადახედვა;
- დამოუკიდებელი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა (არჩევითი დისციპლინების შემადგენლობის გაცნობა);
- სასურველია გადაიხედოს სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამატებით ლიტერატურა - მიეთითოს ლიტერატურა მსოფლიო მიღწევების შესახებ ახალი ტექნოლოგიების, ციფრული ტექნოლოგიების, მოდის თეორიის სფეროში და ა.შ. ასევე მითითებული უნდა იყოს კონკრეტული ელექტრონული ფოსტის მისამართები (მასტერკლასები, სემინარები, ლექცია/პრაქტიკის დაჩქარებული კურსები, დოკუმენტური და მხატვრული ფილმები და ა.შ.);
- სასურველია ზოგადად კვლევით პროექტებში სტუდენტების ჩართულობის გაზრდა;
- სასურველია ინდივიდუალური ან აკადემიური თანამშრომლობის საფუძველზე კვლევით პროექტებში სტუდენტების ჩართულობის გაზრდა;
- სასურველია სტუდენტთა ჩართულობის გაზრდა თეორიულ კვლევით პროექტებში;

- უზრუნველყოფილი იყოს, რომ მიმდინარე პროექტები დაფუძნდეს რეალურ პრაქტიკაზე;
- ხელი შეეწყოს სტუდენტთა ინიციატივებს საპროექტო საქმიანობებში;
- პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სწავლების მეთოდები, რა თქმა უნდა, ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას. გარდა ამისა, სასურველია სასწავლო პროცესში ევრისტიკული მეთოდების აქტიური გამოყენება, ვინაიდან სილაბუსებში სამუშაოს აღწერა ასახავს მხოლოდ მოდელირების პროცესს და არა დიზაინის მიდგომებს;
- დღეს მასწავლებლის როლი ფართოვდება. მოთხოვნილია პიროვნება-ექსპერიმენტატორი, რომელიც შეიმუშავებს და ახორციელებს დიზაინის მეთოდებს, ეძებს განათლების ახალ ფორმებს, ავლენს მსოფლიო პროცესების თანამედროვე გაგებას, აუცილებლად ფლობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო საგანმანათლებლო ტექნოლოგიების ცოდნას, რაც აისახება პროგრამის მიზნებში. სასურველია მკაფიოდ იყოს განსაზღვრული აქტივობები ამ მიმართულებით;
- მასწავლებლის მეთოდები, რომლებიც ასახავს პროგრამის სასწავლო გეგმას, უდავოდ ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას. გარდა ამისა, სასურველია სასწავლო პროცესში ევრისტიკული მეთოდების აქტიური გამოყენება, ვინაიდან სილაბუსებში სამუშაოს აღწერა ასახავს მხოლოდ მოდელირების პროცესს და არა დიზაინის მიდგომებს;
- კლასტერის პროგრამების თვითმფასებისას სასურველია კონკრეტულად მიეთითოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მომზადების/განათლების მეთოდებთან დაკავშირებული ტრენინგების შინაარსი.
- სასურველია, რომ კლასტერის პროგრამების სტუდენტების შედეგები (ნამუშევარი) ასახავდეს ევრისტიკული დიზაინის მეთოდებს, რომლებიც ავითარებენ პრობლემების გადაჭრის გზებს და არასტანდარტულ შემოქმედებით აზროვნებას.
- ინვერსიის მეთოდები მოითხოვს ინტეგრირებულ მიდგომას, ამიტომ სასურველია კლასტერის პროგრამების სილაბუსებში ამ მეთოდებით მიღებული შედეგების მკაფიოდ აღწერა (სპეციფიკურობის გათვალისწინებით);
- სასურველია, სასწავლო პროგრამის მენეჯმენტმა იზრუნოს ახალგაზრდა კადრების (მასწავლებლების) მოზიდვაზე, რაც პროგრამის განვითარების მდგრადობის აუცილებელი პირობაა;
- სასურველია სასწავლო პროცესში დიზაინერების ჩართვა;
- გაგრძელდეს პერსონალის ინგლისური ენის ცოდნის ამაღლების მხარდაჭერა, რაც ხელს შეუწყობს კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების საერთაშორისო მისწრაფებებს.
- სასურველია, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, აქტიურად იყოს წარმოდგენილი საერთაშორისო ლიტერატურა (ტექნოლოგიის საერთაშორისო მიღწევები, მეთოდოლოგიური მიდგომები ტექნოლოგიაში, თეორეტიკოსების ნაშრომები/ანალიზები, თანამედროვე კატალოგები, საგანმანათლებლო ვიდეოები, დოკუმენტური არქივები);
- სასურველია Flalab-ის სივრცე აქტიურად გამოიყენონ „დიზაინი ტექსტილის და ინტერიერისთვის“ სტუდენტებმა, მაგალითად, სტარტაპებისა და სტუდენტური პროექტების განსახორციელებლად, ინოვაციური იდეებისა და პროტოტიპების შესაქმნელად, სასწავლო კურსების ჩასატარებლად და ა.შ.
- სასურველია ინდივიდუალური სტუდიური აღჭურვილობის ხარისხის ამაღლება;
- სასურველია სახელოსნოების სივრცითი შესაძლებლობის გაუმჯობესება და მისი მყუდრო და კრეატიული ვიზუალის შექმნა.

- სასურველია, რომ კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების პროგრამული ბიუჯეტი მოიცავდეს პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ხარჯს, მათ შორის პერსონალის განვითარებას.

### **პროგრამა 1 (მოდის დიზაინი, ბაკალავრიატი):**

- სასურველია კურსების სტრუქტურაში შევიდეს მეტი საგანი და თემა თანამედროვე დიზაინის, დიზაინის თეორიის და სტილის სფეროდან;
- ინტერნეტსა და სოციალურ მედიაში შეიქმნას წარმომადგენლობითი პლატფორმა ონლაინ კომუნიკაციისა და სტუდენტების შედეგების პრეზენტაციისთვის;
- საპრეზენტაციო აქტივობების გაძლიერება - ინდივიდუალური პრეზენტაცია, როგორც პროფესიული პორტფოლიო, მოდის ჩვენება, ონლაინ პრეზენტაცია, გამოფენა, როგორც საბოლოო შეფასების ნაწილი;
- სასურველია ზოგიერთი დისციპლინის სემესტრული განაწილების გადახედვა. მაგალითად, „ინფორმაციული ტექნოლოგია არქიტექტონიკაში“ ისწავლება პირველ სემესტრში, სტუდენტმა კი ჯერ არ იცის: პროცესები მოდის დიზაინში, არ იცის კომპოზიციის საფუძვლები, პრაქტიკული საქმიანობის ძირითადი კომპეტენციები, არ იცის პროგრამის მოთხოვნების შესაბამისი კომპიუტერული ტექნოლოგია.
- სასურველია დაემატოს საკონტაქტო საათები დისციპლინას „ტანსაცმლის კომპიუტერული დაგეგმვა“;
- დისციპლინები "ფეხსაცმლისა და ტყავის ნაწარმის ტექნიკური მოდელირების საფუძვლები, ტანსაცმლის ტექნიკური მოდელირების საფუძვლები, ტანსაცმლის ტექნოლოგიის საფუძვლები" - უნდა ისწავლებოდეს კურსის დასაწყისში (საკონტაქტო საათებთან ერთად) სწავლების თანმიმდევრობის მიხედვით;
- "საკერავი მასალების" დისციპლინის სასწავლო გეგმის შინაარსი შეესაბამება "მასალების მეცნიერების" დისციპლინას. სასურველია საგანს დაერქვას "მასალების მეცნიერება" და ისწავლებოდეს კურსის დასაწყისში;
- "მენეჯმენტის მარკეტინგი მოდის ინდუსტრიაში და ბიზნესში" დისციპლინისთვის მიზანშეწონილია დარჩეს მხოლოდ სათაური "მენეჯმენტი და მარკეტინგი მოდის ინდუსტრიაში", რადგან ინდუსტრია თავისთავად ნიშნავს ბიზნესს. ასევე სილაბუსის ტექსტში არის სახელწოდება „სამოდულო ბიზნესი“ - შინაარსიდან გამომდინარე სასურველია დაიწეროს „მოდის ბიზნესი“;
- სასურველია გადაიხედოს პორტფოლიოს დიზაინის მეთოდები და პრინციპები ზემოაღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად.
- დისციპლინების სახელები "ტანსაცმლისა და მოდის ტენდენციების ისტორია" და "ტყავის ნაწარმის კულტურული მემკვიდრეობა და მოდის ტენდენციები" სასურველია შეიცვალოს "ტანსაცმლისა და მოდის ტენდენციების ისტორია" (იგულისხმება მხოლოდ სატაურის ქართულად ფორმულირება); და "ტყავის ნაწარმის კულტურული მემკვიდრეობა და მოდის ტენდენციები" (იგულისხმება მხოლოდ სატაურის ქართულად ფორმულირება);

### **პროგრამა 2 (დიზაინი ტექსტილის და ინტერიერისთვის დიზაინი, ბაკალავრიატი):**

- საბაზისო საგნები სასურველია ისწავლებოდეს კურსის დასაწყისში (საკონტაქტო საათებთან ერთად), სწავლების თანმიმდევრობის შესაბამისად;
- სასურველია შეიცვალოს დისციპლინის სახელწოდება "სტილის შერჩევის საფუძვლები", მაგალითად, „ინტერიერის დიზაინის ისტორიით“ ან სხვა. რადგან პროგრამა ასწავლის ინტერიერის დიზაინის განვითარების ეტაპებს, მათ შორის სტილებს.
- სასურველია პორტფოლიოს დიზაინის მეთოდებისა და პრინციპების გადახედვა ზემოაღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად;
- ასევე სასურველია ითანამშრომლოთ მოდის დიზაინის სტუდენტებთან, შექმნათ არა მხოლოდ ტრადიციული ტექსტილი, არამედ თანამედროვე ტექსტილიც და ისეთი პრინციპები და ქსოვილები, რომლებიც გამოიყენება თანამედროვე მოდაში. ის ნამუშევრები, რაც დათვალიერებისას ვნახეთ, იყო დაბალი დონის ტექსტილი, სამოყვარულო დონეზე შესრულებული და არა განათლებული პროფესიონალების მიერ შექმნილი.

### **პროგრამა 3 (მოდის დიზაინი, მაგისტრატურა):**

- უსდ-მ შესთავაზოს მაგისტრატურის სტუდენტებს საკუთარი შემოქმედებითი სივრცე - კოლაბორაციული მოდის სივრცე - მოდის ლაბორატორია, სახელოსნო, სადაც მაგისტრატურის სტუდენტებს შეუძლიათ იმუშაონ სასწავლო პროცესის გარეთაც კი;
- დისციპლინა „მოდის ფსიქოლოგია და სოციოლოგია“ (არჩევითი) მოდის თეორიის ორი დამოუკიდებელი დისციპლინაა, განსხვავებული ცნებებითა და შედეგებით, შესაბამისად, არ არის მიზანშეწონილი მათი გაერთიანება ერთ საგანში და ერთ სემესტრში;
- ასევე სასურველია სათაურში მითითება, რომ ის არ ისწავლება ფუნდამენტურად, არამედ მხოლოდ საფუძვლების დონეზე.

### **• საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)<sup>3</sup>**

- ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

#### **1.3 ქვესტანდარტი:**

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და ინსტრუმენტები უნდა მოიცავდეს შეფასების განსაზღვრულ არაპირდაპირ მეთოდებსა და მათ სამიზნე ნიშნულებს. გაზიარებულ იქნა დაწესებულების პოზიცია სტანდარტის 1.3 კომპონენტში გათვალისწინებულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით. ვინაიდან, პრაქტიკაში, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება არაპირდაპირი შეფასების მეთოდებით ხორციელდება, რეკომენდაცია ხელახლა ჩამოყალიბდა და რჩევის სახით იქნა წარმოდგენილი საბოლოო დასკვნაში. დაწესებულებამ ასევე მოგვაწოდა ვიზიტის დროს დამატებით მოთხოვნილი ყველა დოკუმენტი, რომელიც ტექნიკური პრობლემის გამო ვერ იქნა ნაპოვნი. ამიტომ დასკვნის თხრობითი ნაწილიც შესაბამისად შეიცვალა.

<sup>3</sup>პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

## ▪ 2.2. ქვესტანდარტი

საწარმოო პრაქტიკის პროცესში რეკომენდებულია ინტერდისციპლინარული პროექტების შემუშავება - კრეატიულობის, ტექნოლოგიების, დიზაინისა და სავაჭრო ინსტრუმენტების შერწყმა და უნარების გამოყენება.

- **უსდ-ს პოზიცია:** საწარმოო პრაქტიკის მიზანი და სწავლის შედეგების ანალიზი ადასტურებს, რომ პრაქტიკის პროცესში სტუდენტის მიერ შესასრულებელი დავალებები და გამომუშავებული უნარ- ჩვევები პირდაპირ არის დაკავშირებული იმ სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან, როგორცაა: ხელოვნებისა და კულტურის ისტორია, სამოსის კომპიუტერული დაგეგმარება, სპეცკომპოზიცია, ფეხსაცმლის და ტყავსაგალანტერეო ნაკეთობათა მასალათმცოდნეობა, სატანსაცმელე მასალები, ფეხსაცმლის და ტყავსაგალანტერეო ნაკეთობათა ტექნიკური მოდელირების საფუძვლები, ტანსაცმლის ტექნიკური მოდელირების საფუძვლები, ტანსაცმლის ტექნოლოგიის საფუძვლები, ფეხსაცმლის ნამზადის ტექნოლოგია, გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარება, მენეჯმენტ-მარკეტინგი მოდის ინდუსტრიასა და ბიზნესში. აღნიშნული საგნების შესწავლა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება საწარმოო პრაქტიკის პირობებში განაპირობებს კურსის შინაარსით გათვალისწინებული პროექტის ინტერდისციპლინარობას, კრეატიულობის, ტექნოლოგია-კონსტრუირების ჩვევების სინერგიას დიზაინერული პროექტის შესრულების პროცესში.

**პასუხი:** ადგილზე ვიზიტისას ნათლად არ იყო დადასტურებული საუკეთესო შედეგები პროფესიული საწარმოო პრაქტიკის სფეროდან ან ინტერდისციპლინარული პროექტებიდან; ასევე არ იყო დადასტურებული ის ფაქტიც, რომ პედაგოგებმა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად შეიმუშავეს ახალი ძირითადი სალექციო კურსები და პრაქტიკული და ლაბორატორიული მუშაობის მეთოდური სახელმძღვანელოები. ისწავლება ზოგიერთი მოძველებული მეთოდი და ტექნოლოგია, რომლებიც დღეს აღარ გამოიყენება, მარაგში არსებული მოძველებული აღჭურვილობა - მაგალითად, ძალიან ძველი ტანსაცმლის ნიმუშები და მასალები, მოძველებული ფეხის საზომი მანქანა და ნაჩვენებ კოლექციებში არც კი შეიმჩნევა კერვის უნარების ხარისხი.

წინადადებაა - გაუმჯობესდეს დიზაინის მთელი გარემო, დიზაინის შემუშავებისას გამოყენებულ იქნეს კრეატიულობა და თანამედროვე ტენდენციები. ასევე, აქცენტი გაკეთდეს უფრო მაღალ მოთხოვნებზე ხარისხისა და პრეზენტაციის უნარის მიმართ, რადგან წარმოდგენილი წერილობითი საბაკალავრო ნაშრომები ვერც კი აღწევენ დიზაინის სკოლების ამჟამინდელ დონეს.

- რეკომენდებულია გამოგონებისა და კრეატიულობის გაზრდა, თუ როგორ მოხდეს ტრადიციული საოსტატო უნარების ტრანსფერი დიზაინის დონეზე;

**უსდ-ს პოზიცია:** აღნიშნული რეკომენდაცია შინაარსით ახლოსაა რეკომენდაცია 2-თან. „მოდის დიზაინის“ „წინამორბედი „გამოყენებითი დიზაინის“ პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის და სტუდენტების მიერ ყოველწლიურად ხდება განსხვავებული, ინვიდუალური, საკუთარი სტილის და უნარების შესაბამისი იდეების ფორმირება, რომელშიც ხშირად ჩანს, მართალია სხვადასხვა დონის და შესრულების ტექნიკის განსხვავებული ხარისხის, მაგრამ თითოეული მათგანისთვის სახასიათო სტილი, კრეატიული ხედვა და ინდივიდუალიზმი. აღნიშნული ნიმუშები, დეპარტამენტთან არსებული სამხატვრო საბჭოს „ვიზირების შემდეგ მონაწილეობს გამოფენებში, ჩვენებებში, კონკურსებში და ა.შ. აღნიშნულის დასტურად იხილეთ

თვითშეფასების ანგარიში, სადაც ამ აქტივობებზე ვრცლად არის საუბარი აღწერით ნაწილში და სტანდარტში 3: „სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა“. აქვეა შესაბამისი მტკიცებულებები. თუმცა ვთვლით, რომ თანამედროვე, სწრაფადგანვითარებად და ცვალებად სამყაროში ყველა პროცესი დინამიურად მიმდინარეობს და დინამიურად უნდა მოხდეს საზოგადოების მიერ პროდუქციის მიმართ მუდმივად მზარდი ვიზუალურ-ესთეტიკური და სამომხმარებლო პარამეტრების სრული შესაბამისობის უზრუნველყოფისადმი მიდგომა. სწორედ ეს განასხვავებს დიზაინერ-კონსტრუქტორ-ტექნოლოგს სხვა, ტრადიციული დარგის სპეციალისტებისაგან. აღნიშნული გაცნობიერებული გვაქვს და მუდმივად გვაქვს მზაობა ფეხი ავუწყოთ თანამედროვე დინამიური სამყაროს ტემპებს.

**პასუხი:** მიუხედავად არგუმენტირებული ფაქტებისა და სტუდენტების კარგი მიღწევებისა - ვებგვერდის დათვალიერების თვალსაზრისით, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ ნახა თანამედროვე დიზაინის შესაბამისი მტკიცებულების ბევრი მაგალითი; მოსამზადებელ კურსებზე ხარისხი ძირითადად ვერ აკმაყოფილებდა ტრადიციული ხელნაკეთობებით შთაგონებული დიზაინის სტანდარტებს. ამიტომ ეს რეკომენდაცია აქტუალურია.

- რეკომენდებულია პროფესიული ურთიერთობების მეტად გაფართოება მოდის სფეროს წარმომადგენლობით კომპანიებთან;

**უსდ-ს პოზიცია:** პროგრამათა კლასტერის პაკეტს თან ახლავს საქადალდე დანართი #8, რომელშიც განთავსებულია 21 დოკუმენტი – ხელშეკრულებები და მემორანდუმები ადგილობრივ და საერთაშორისო უნივერსიტეტებთან, ორგანიზაციებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სხვა, რომელთანაც პროგრამის განმახორციელებელ გუნდს აქვს კავშირი და თანამშრომლობა. პროგრამები ხორციელდება იმერეთის რეგიონში, რომელიც დასახელდა საქართველოში სამრეწველო საწარმოების განვითარებისათვის ყველაზე ხელსაყრელ რეგიონად (აღნიშნულის შესახებ დეტალურად ნათქვამია თვითშეფასების ანგარიშში, კომპონენტი 4.1. ადამიანური რესურსი, პროგრამის ხელმძღვანელების შესახებ ინფორმაციის ნაწილში. აქვეა თანდართული მტკიცებულებები და ინდიკატორები), რადგან აქ პროგრამების შესაბამისი წარმოებების არსებობის ხანგრძლივი გამოცდილება, მაღალკვალიფიური კადრები და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების 55-წლიანი ტრადიციებია. აღნიშნული დეტალურად არის აღწერილი თვითშეფასების ანგარიშში. პროგრამის განხორციელების პროცესში მუდმივად გვაქვს თანამშრომლობა აღნიშნულ საწარმოებთან, არა მარტო პრაქტიკის ბაზებად მათი გამოყენების, არამედ ახალი ტექნოლოგიების, ბაზარზე არსებული ახალი გამოწვევების, აზრთა ურთიერთგაცვლის, ჩვენი კვლევის შედეგების პრაქტიკაში რეალიზების, პრაქტიკული მასტერ-კლასების, ექსკურსიების და სხვა აქტივობების სახით. ქუთაისის სამრეწველო პოტენციალი რეალურად იძლევა საშუალებას გვეკონდეს თანამშრომლობა დარგის პროფესიონალებთან, თუმცა საწარმოო პრაქტიკაზე სტუდენტები სხვადასხვა წლებში გაგზავნილი იყვნენ იმერეთის სხვა ქალაქებში და აჭარის რეგიონში არსებულ ქართულ-უცხოურ საწარმოებში.

გარდა ამისა, საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების ჩამონათვალში (სტანდარტი 4) გაკეთებულია ჩანაწერი:

**გასაუმჯობესებელი მხარეები:**

- ქვეყნის მასშტაბით ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის მწარმოებელ ორგანიზაციებთან და სფეროში მოღვაწე პროფესიონალებთან მჭიდრო თანამშრომლობა;
- პარტნიორ უნივერსიტეტებთან ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერება როგორც ქვეყნის, ისე საერთაშორისო მასშტაბით;

- სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობების გაზრდა, აკადემიური პერსონალის საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში ჩართვის მაჩვენებლების გაუმჯობესება;
- კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების ფინანსური მხარდაჭერის წყაროების გაუმჯობესება. აქვეა გასაუმჯობესებელი მხარეების განსავითარებლად დაგეგმილი აქტივობები და ვადები:
- 2023-2025 წლებში გაძლიერდება თანამშრომლობა ანალოგიური პროგრამების განმახორციელებელ ევროპულ უნივერსიტეტებთან, რისთვისაც გამოყენებული იქნება უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მხარდაჭერი მექანიზმები;
- 2023-2025 წლებში შემუშავდება სტრატეგია, რომელიც თანხვედრაში იქნება იმერეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიასთან;
- დიზაინის სფეროს პროფესიონალი "გესტ-სპიკერების" მოწვევა და მასტერ-კლასების ორგანიზება (მინიმუმ 2 "გესტ-სპიკერი" და მასტერკლასი სასწავლო წლის განმავლობაში);
- აკადემიური პერსონალის საერთაშორისო კვლევებში ჩართულობის ხელშეწყობა;
- საუნივერსიტეტო პოლიტიკის მიხედვით ყოველსემესტრულად მიმდინარეობს ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები თანამშრომლებისათვის;
- სტაჟირების პროგრამის განვითარება;
- „დიზაინისა და ტექნოლოგიის“ დეპარტამენტის რესურსების გამოყენება (ლაბორატორიული ბაზა, ადამიანური რესურსი) პროგრამების ფინანსური შემოსავლების გაზრდისათვის.  
ზემოთ ნათქვამი ადასტურებს, რომ პროგრამათა კლასტერის ინიციატორებს გაცნობიერებული აქვთ პროგრამის გასაუმჯობესებელი მხარეები და აქვთ შესაბამისი გეგმა და ხედვები.

**პასუხი:** უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის თანახმად, ექსპერტთა ჯგუფს ესმის და გაცნობიერებული აქვს ამ სფეროს პრობლემები. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი სფერო და გაუმჯობესება თვითშეფასების ანგარიშის თანახმადაც, თვალსაჩინო უნდა გახდეს უახლოეს მომავალში.

ექსპერტთა ჯგუფი უცვლელად ტოვებს რეკომენდაციას

#### 4.3. ქვესტანდარტი

- პროგრამების მიზნებიდან გამომდინარე, აუცილებელია მასწავლებელთა უწყვეტი განვითარებისათვის შესაბამისი ღონისძიებების შემუშავება (უწყვეტი განათლების პროგრამები, საგანმანათლებლო და შემოქმედებითი პროგრამები, მუდმივი კონტაქტები საერთაშორისო და ადგილობრივ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, ხელოვნების წარმომადგენლებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო პრაქტიკოსებთან) და საერთაშორისო და ადგილობრივ სემინარებისა და მასტერკლასების აქტიურად ჩატარება მოწვეული პრაქტიკოსების მიერ.
- **უსდ-ს პოზიცია:** კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალი აქტიურად არის ჩართული უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ორგანიზებულ სწავლებებსა და საკონსულტაციო შეხვედრებში, ასევე სხვა სახის ტრენინგებსა და სემინარებში. მჭიდრო კავშირი აქვს დამსაქმებლებთან, საჯარო სკოლებსა და კოლეჯებთან, პარალელურად ახორციელებენ პროფესიულ პროგრამებს. მუდმივად ანახლებენ და თანამედროვე მოთხოვნების



შესაბამისად ქმნიან ახალ, პროგრამასთან სრულ შესაბამისობაში მოყვანილ ძირითად სალექციო კურსებსა და პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოების მეთოდურ სახელმძღვანელოებს, ემსახურებიან სასწავლო პროცესს, გააჩნიათ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების მრავალწლიანი გამოცდილება, აქტიურად იყვნენ ჩართულები საუნივერსიტეტო ავტორიზაციისათვის მზადების პროცესში, მათ მიერ წლების განმავლობაში წაკითხული სასწავლო კურსები, ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცემებში გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები (საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებულ სამეცნიერო სტატიებს მინიჭებული აქვს SOI, DOI, ISI და იძებნება Clarivate Analytics, ThomsonReuters ResearcherID, Google Scholar, Research Bible, Open Academic Journals Index, Turk Egitim Indeksi, Directory of abstract indexing for Journals და სხვა ბაზებში) და შექმნილი სასწავლო-მეთოდური სახელმძღვანელოები სრულ შესაბამისობაშია განსახორციელებელი პროგრამის სწავლის სპეციფიკასთან და შედეგებთან. პროგრამის ხელმძღვანელები სრულყოფილად ფლობენ კომპიუტერულ საოფისე პროგრამებს, გავლილი აქვთ სხვადასხვა სახის ტრენინგები და სემინარები (რაც კარგად ჩანს მათ პერსონალურ ინფორმაციებში CV).

პერსონალის ნაწილი აქტიურად არის ჩართული სამთავრობო სტრუქტურების მიერ გამართულ სამუშაო შეხვედრებში, რომლებიც დარგის და პროგრამის განვითარებას უწყობს ხელს. 2022 წელს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩაერთო საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში, რომელიც მიემდგვნა იმერეთში სამეწარმეო აღმოჩენის პროცესის (EDP) ინიცირებას. ინიცირება მიზნად ისახავს „ჭკვიანი სპეციალიზაციისა“ და მისი საკვანძო კომპონენტის - სამეწარმეო აღმოჩენის პროცესის შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და ასევე, ხარისხობრივი ანალიზის საფუძველზე მიღებული ძირითადი მიგნებების წარმოდგენას, რომლებიც ეფუძნება არსებულ ეკონომიკურ და საინოვაციო მონაცემებსა და მათთან დაკავშირებულ შემდგომ გეგმებს. სამუშაო შეხვედრები რეგიონის მაპროფილებელი დარგის მეწარმეთა აქტიური ჩართულობით მიმდინარეობდა. ოთხი სამეწარმეო მიმართულებიდან, რომელიც იმერეთის რეგიონისათვის დაინიჭრდა, სამი თანხვედრაშია საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის საგანმანათლებლო და კვლევით პროფილთან. ხოლო ერთი – დომენი 4 - სამკერვალო, ფეხსაცმლის და ტყავის ნაკეთობათა წარმოება – პირდაპირ კავშირშია კლასტერში წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამებთან.

რეგიონული ზრდისა და სამეწარმეო აღმოჩენის პროცესის ხელშეწყობის მიზნით, ჭკვიანი სპეციალიზაციისთვის საქართველოში საპილოტედ იმერეთის რეგიონის შერჩევა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება გონივრული გათვლაა იმერეთისათვის ტრადიციული დარგების გაცოცხლების, აღორძინების, განვითარების და ჯერ კიდევ არსებული მაღალკვალიფიციური აკადემიური პოტენციალისა, თუ პროფესიონალი პრაქტიკოსი ადამიანური რესურსის ოპტიმალური გამოყენების თვალსაზრისით. აღნიშნული პროექტების განხორციელებით დაინტერესდა და დარგის განვითარებისათვის პროექტებში ჩართულობის სურვილი გამოთქვა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება GIZ-ის წარმომადგენელმა საქართველოში.

პროგრამის სტუდენტები მუდმივად იღებენ მონაწილეობას უკრაინის ახალგაზრდა დიზაინერთა ყოველწლიურ საერთაშორისო კონკურსზე „Печерские каштаны“, სადაც

ყოველწლიურად საპრიზო ადგილებს იმსახურებენ: 2017 წ., 2019 წ. (ტანსაცმელი მე-2 ადგილი) 2022 წ.: ფეხსაცმელი – პირველი ადგილი; 2015 წ. (ტანსაცმელი პირველი ადგილი და 2018 წ.: ფეხსაცმელი –მეორე ადგილი; 2022 წელს კიევის დიზაინისა და ტექნოლოგიის ეროვნული უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სტუდენტური ნამუშევრების ციფრული მოდის საერთაშორისო კონკურსზე სახელწოდებით "Digital feshen" მონაწილეობა მიიღო „გამოყენებითი დიზაინის" საბაკალავრო პროგრამის 6–მა სტუდენტმა. აღნიშნულ კონკურსზე სპეციალური პრიზი – “საუკეთესო დიზაინერული გადაწყვეტისათვის" დაიმსახურა ერთმა სტუდენტმა (ფეხსაცმლის კოლექცია), III ადგილი ნომინაციაში: „ფეხსაცმლის კოლექციის დიზაინი“ ერთმა სტუდენტმა; 2023 წლის ივნისში ჩატარებულ კონკურსში ერთმა სტუდენტის მოდელმა მე-3 ადგილი აიღო. 2023 წლის 7 აპრილს კიევის დიზაინისა და ტექნოლოგიის ნაციონალური უნივერსიტეტის (KNUTD) „ტყავის ნაწარმის დიზაინისა და ტექნოლოგიის“ დეპარტამენტის ინიციატივით, ონ–ლაინ პლატფორმა ZOOM-ის საშუალებით შედგა „დიზაინისა და ტექნოლოგიის“ დეპარტამენტის აკადემიური დოქტორის ლელა კიკნაველიძის საჯარო ლექცია. ლექციის თემა გახლდათ „ანსამბლი, როგორც რთული მხატვრული სისტემა კოსტუმის კომპოზიციაში“, ლექციამ მაღალი შეფასება დაიმსახურა, რაზეც ვრცელი წერილი გამოქვეყნდა კიევის დიზაინისა და ტექნოლოგიის ნაციონალური უნივერსიტეტის ვებ–გვერდზე (<https://knutd.edu.ua/pod-ta-publkat/news/15152/>). კონკურსის ორგანიზატორების გადაწყვეტილებით საერთაშორისო კონკურსებში სხვადასხვა დროს ჟიურის შემადგენლობაში, მონაწილეთა ნაშრომების შესაფასებლად მიწვეული იქნა „დიზაინისა და ტექნოლოგიის“ დეპარტამენტის 2 თანამშრომელი.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, პროგრამების განმახორციელებელი პერსონალი მუდმივად მონაწილეობს როგორც ქართული, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებულ კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებში, უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრის მიერ ორგანიზებულ პროგრამებში, უნივერსიტეტის ხუს–ისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში, რომლებიც პირდაპირ კავშირშია საგანმანათლებლო პროგრამების ინიცირებას, შემუშავებას, სწავლის მეთოდებს, სტუდენტის სწავლის შედეგების და შეფასების სისტემებთან, რაც უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსებში პოზიციის დასაკავებლად ერთ–ერთი მოთხოვნაა და რაც დასტურდება პერსონალის CV–ებით და პაკეტზე თანდართული სერთიფიკატებით.

აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში პროგრამების კლასტერის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია 2.2. კომპონენტის #3 რეკომენდაციაში. შესაბამისად, პროგრამათა კლასტერის ინიციატორებს გაცნობიერებული აქვთ პროგრამის გასაუმჯობესებელი მხარეები და აქვთ შესაბამისი გეგმა და ხედვები.

**პასუხი:** ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება იმას, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის საჭირო აქტივობებს, როგორც ეს 4.3. სტანდარტის კომპონენტის თხრობით ნაწილშია მითითებული. თუმცა, როგორც დასკვნაშია აღნიშნული, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ საჭიროა მეტი აქტივობები, როგორებიცაა ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკოსების, მხატვრების ჩართულობით მასტერკლასები და შემოქმედებითი პროგრამები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულებისათვის მიცემული რეკომენდაცია ძალაში უნდა დარჩეს.

#### 4.4. ქვესტანდარტი:

- რეკომენდებულია ინდივიდუალური სტუდიური აღჭურვილობის ხარისხის ამაღლება.

- რეკომენდებულია სახელოსნოების სივრცითი შესაძლებლობის გაუმჯობესება და მისი მყუდრო და კრეატიული ვიზუალის შექმნა.

**უსდ-ს პოზიცია:** უნდა აღინიშნოს, რომ „დიზაინისა და ტექნოლოგიის“ დეპარტამენტი წლების განმავლობაში პროგრამებს ახორციელებდა უნივერსიტეტის მე-13 კორპუსში, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერით 2016 წლიდან კი დეპარტამენტმა ფუნქციონირება გააგრძელა მე-7, მე-8 და მე-10 კორპუსებში. გასულ წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით ექსპლუატაციაში შევიდა ახალგაზრდობის პროსპექტზე არსებული სტუდენტური კლუბის სამსართულიანი შენობა, სადაც დიზაინის მიმართულების პროგრამებისათვის გათვალისწინებულია საგამოფენო და მასტერ-კლასებისათვის სივრცის გამოყოფა. ეს ფაქტი აკრედიტაციის ექსპერტებთან ინტერვიუს დროსაც აღინიშნა. ამდენად, დიზაინის მიმართულების პროგრამები უახლოეს მომავალში სრულად აღჭურვილ და მასშტაბურ სივრცეებში გააგრძელებენ ფუნქციონირებას.

ამრიგად, დაწესებულება გამოთქვამს მზადყოფნას კლასტერული პროგრამების მატერიალური ბაზის შემდგომ გაუმჯობესებაზე.

**პასუხი:** ექსპერტების რეკომენდაციის საპასუხოდ, უსდ-ს წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ - უახლოეს მომავალში საპროექტო პროგრამები გააგრძელებს ფუნქციონირებას სრულად აღჭურვილ და გაფართოებულ სივრცეებში. ასე, რომ უნივერსიტეტი გამოთქვამს მზადყოფნას კიდევ უფრო გააძლიეროს კლასტერული პროგრამების მატერიალური საფუძველი.

რეკომენდაციები გადატანილია რჩევებში

#### **4.5. ქვესტანდარტი:**

- რეკომენდებულია კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების განვითარებისთვის საჭირო ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

**უსდ-ს პოზიცია:** პროგრამათა კლასტერზე თანდართული ბიუჯეტები წარმოადგენს (დანართი #9) აწსუ-ს საფინანსო სამსახურის მიერ შემუშავებული პროგრამების ხარჯის საანგარიშო ფორმას, რომელიც ითვალისწინებს ყველა საჭირო აქტივობას პროგრამის შეუფერხებელი განხორციელებისა და განვითარებისათვის. მაგალითისათვის განვიხილოთ „მოდის დიზაინის“ საბაკალავრო პროგრამა, რომლის განხორციელებისათვის ბიუჯეტის თანდართული ფორმის შესაბამისად აუცილებელია პროგრამაზე არანაკლებ 23 სტუდენტის არსებობა. ამჟამად მოქმედი „გამოყენებითი დიზაინის“ საბაკალავრო პროგრამის მისაღები და შესაბამისად ჩარიცხულ აბიტურიენტთა კონტიგენტი ბოლო წლებში სტაბილურად 40 სტუდენტია (დანართი: ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების შესახებ/Information about the Quantitative Data of the Educational Programme). ამას ემატება მობილობით გადმოსულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელიც ჯამში სრულად უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას. გარდა ამისა, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან ინტერვიუს დროს მათ დაადასტურეს უსდ-ს მხარდაჭერა საზოგადოებაში მოთხოვნადი დარგების მიმართ და მათ შორის დიზაინის პროგრამების მიმართ. ამდენად, ფინანსური თვალსაზრისით პროგრამებს საფრთხე არ ემუქრება.

- **პასუხი:** უნივერსიტეტის არგუმენტირებულ პოზიციაში 4.5 სტანდარტის კომპონენტთან დაკავშირებით რეკომენდაციაზე მითითებულია, რომ სტუდენტური გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი საკმარისია კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების ფინანსური მდგრადობისათვის. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამები ფინანსურად მდგრადია, თუმცა, პროგრამების განვითარებისთვის, მათ შორის, პროგრამების მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებით რეკომენდაციების შესრულებასთვის, საჭირო იქნება დამატებითი ფინანსური მხარდაჭერა.

პროგრამა 1 (მოდის დიზაინი, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)


გასათვალისწინებელია დისციპლინის („ინფორმაციული ტექნოლოგია“) სახელწოდების შეუსაბამობა პროგრამის შინაარსთან - დისციპლინა „ინფორმაციული ტექნოლოგია“ შეისწავლის ქსელის ინჟინერიას (მონაცემთა ბაზები, ქსელები და საკომუნიკაციო სისტემები, ვებსისტემები, ინფორმაციის დაცვა და უსაფრთხოება, გამოთვლითი ხელსაწყოები და ა.შ.), ხოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, დისციპლინაში ისწავლება გრაფიკული პროგრამები (Adobe Photoshop, CorelDRAW, Microsoft PowerPoint აშაადებს პრეზენტაციას). ამიტომ სასურველია ეს კურსი მომდევნო სემესტრში შესაბამისი შინაარსით ისწავლებოდეს. არქიტექტურის საფუძველზე, სამუშაო უნდა განხორციელდეს სივრცეში, დიზაინის მეთოდებით (ეს ხელს უწყობს სივრცითი აზროვნების განვითარებას და ა.შ.). პრაქტიკული მუშაობისთვის სასურველია დაემატოს საკონტაქტო საათი.

**უსდ–ს პოზიცია:** რეკომენდაციაში საუბარია სასწავლო კურსზე „ინფორმაციული ტექნოლოგიები არქიტექტონიკაში“. ექსპერტთა რეკომენდაციას ვეთანხმებით, სასწავლო კურსის სახელწოდება ვფიქრობთ ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „კომპიუტერულ–გრაფიკული პროგრამები არქიტექტონიკაში“. გარდა ამისა, სახელოვნებო მიმართულების სასწავლო კურსების პრატიკულ მეცადინეობებზე ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება 5–ით, ამიტომ, 45 საკონტაქტო საათი ერთი სასწავლო კურსისათვის 40 სტუდენტის შემთხვევაში 360–ია. ასეთი სასწავლო კურსებია: გრაფიკა, ინფორმაციული ტექნოლოგიები არქიტექტონიკაში, ფერწერა, ფორმალარმოქმნის საფუძვლები, სამოსის კომპიუტერული დაგეგმარება, სპეცკომპოზიცია–1, სპეცკომპოზიცია–2, სპეცკომპოზიცია–3, სპეცკომპოზიცია–4, სამოსის სამგანზომილებიანი მოდელირება, დიზაინერული პროექტი და სხვა.

აქვე უნდა აღინიშნოს, მოქმედ საბაკალავრო პროგრამასთან „გამოყენებითი დიზაინი“ მიმართებით, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა „მოდის დიზაინში“ პრაქტიკული საათების ხვედრითი წილი გაცილებით მეტია, რასაც ხელი შეუწყობს პრაქტიკული კომპონენტების წილის გაზრდას. ახალ პროგრამაში, სხვა დანარჩენ პრაქტიკული მიმართულების სასწავლო კურსების პარალელურად (იხ. სასწავლო გეგმა – დანართი 1. 2), შემოტანილია ისეთი საგნები, როგორცაა: ინფორმაციული ტექნოლოგიები არქიტექტონიკაში (რომლის სახელწოდებაც გასწორდება რჩევის შესაბამისად), სამოსის კომპიუტერული დაგეგმარება, სამოსის სამგანზომილებიანი მოდელირება, ასევე დიზაინერული პროექტი, რომელიც ძირითადად პრაქტიკულ საკონტაქტო საათებს მოიცავს. საერთო ჯამში პროგრამაში თეორიული, პრაქტიკული და ლაბორატორიული საათების ხვედრითი წილი გრაფიკულად შემდეგნაირად ნაწილდება

და აღწერილია თვითშეფასების ანგარიშში – კომპონენტი

## 1.2: პროგრამის სწავლის შედეგები:



შესაბამისად, დაწესებულება თხოვს ექსპერტებს გაითვალისწინონ წარმოდგენილი არგუმენტები და ფაქტობრივი გარემოებები საბოლოო დასკვნისა და მოცემული რეკომენდაციის ფორმირებისას.

**პასუხი:** სასწავლო კურსის ახალი სახელწოდება „კომპიუტერულ-გრაფიკული პროგრამები არქიტექტონიკაში“ პირვანდელთან შედარებით გაუმჯობესებულია.

თუმცა, სასურველია, რომ არქიტექტონიკის მოცემულობაზე მუშაობა (კოსტუმის ფორმირება) დამოუკიდებლად განხორციელდეს სივრცეში დიზაინის მეთოდების გამოყენებით (ფორმირების სისტემები, ტექტონიკური სისტემები, ბიონიკური სისტემები, შემოქმედებითი პრობლემების გადაჭრის არასტანდარტული მეთოდები და ა.შ.), რაც დაეხმარება მოსწავლეს ფორმის სივრცითი, შემოქმედებითი, ანალიტიკური აზროვნებით შემუშავებაში. (უფრო მეტიც, მსგავსი საგანი „ტანსაცმლის კომპიუტერული დაგეგმვა“ სასწავლო გეგმაში შეტანილია დამოუკიდებელ საგანად

ციფრული პროგრამების სწავლებისას ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნეს ისეთი პროფესიული სპეციფიკა, როგორცაა „თარგის ციფრული მოდელირება (მაგალითად, c103d პროფესიული პროგრამები და სხვ.)“.

ადგილზე ვიზიტის დროს, სტუდენტებთან შეხვედრისას, დაფიქსირდა უსიამოვნო ფაქტი, რომ ვერ ვიხილეთ ვერანაირი მტკიცებულება იმისა, რომ მათ აქვთ ცოდნა მოდის დიზაინის ისტორიის და მეოცე საუკუნის მოდისა და დიზაინის შესახებ, ამიტომაც, რჩევა იქნება, რომ დაამატოთ მეტი თანამედროვე საგანი მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეების ზოგადი დიზაინიდან ან მოდის ისტორიის სფეროდან, დიზაინის თეორიიდან/პრაქტიკიდან/მეთოდოლოგიებიდან. უსდ პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას აშკარად მხოლოდ ფეისბუქ გვერდით უზრუნველყოფს.

#### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (დიზაინი ტექსტილის და ინტერიერისთვის/ზაინი, ბაკალავრიატი)**

როგორც ციტირებულია თვითშეფასების ანგარიშში, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების პირველი დანართით დამტკიცებული „კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს“ და ამ ბრძანების მე-2 დანართით დამტკიცებული „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ მოთხოვნების შესაბამისად, „დიზაინის, სამრეწველო დიზაინის, მოდის დიზაინის, ტექსტილის დიზაინის“ უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლების მიხედვით.

დიზაინი ტექსტილის და ინტერიერისთვის/ზაინის პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე შეესაბამება სტანდარტს და თანმიმდევრულია. მოცულობა 240 კრედიტია - წელიწადში 60 კრედიტი, სემესტრში 30 კრედიტი. 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რაც ადეკვატურია კურსის ფარგლებში დაგეგმილი თემებისთვის, შესასრულებელი თეორიული და პრაქტიკული დავალებისთვის. საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა 4 წელია, ლოგიკურად აგებულია საუკეთესო მიზნებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად; I. სავალდებულო სასწავლო კურსები - 141 კრედიტი; II. არჩევითი საგნები - 10 კრედიტი; III. სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები - 29 კრედიტი; IV. დამატებითი სპეციალობა - 60 კრედიტი. თვითშეფასების ანგარიშში ნათქვამია => ეს საგანი მოიცავს მრავალმხრივ ზოგად საბაზისო ცოდნას დიზაინის მიმართულებით, ხელს უწყობს დარგის რთული საკითხების გაგებას, პრაქტიკული საქმიანობის განხორციელების პროცესში პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრისთვის აუცილებელი უნარების გამომუშავებას და მიღებული ცოდნის მუდმივი განახლების უნარის სტიმულირებას.

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, სავალდებულო და არჩევითი კურსები და დამატებითი პროგრამები შეესაბამება სწავლის ძირითადი სფეროს შინაარსს. ასევე სასარგებლოა პროფესიული პრაქტიკა 5 კრედიტის მოცულობით, რომელსაც უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე სტუდენტები გაივლიან სხვადასხვა სამშენებლო/საპროექტო საწარმოებსა და ორგანიზაციებში. ეს ფაქტი დაინტერესებულ მხარეებთან საუბრითაც დადასტურდა. რაც შეეხება სწავლის შედეგების შინაარსს, კურსების სტრუქტურაში აუცილებელია უფრო მეტი საგნის ჩართვა თანამედროვე დიზაინის, დიზაინის თეორიის, სტილის და ა.შ. სფეროდან.

თვითშეფასების ანგარიშში, საგანმანათლებლო პროგრამის სათაურში “Design for Textile and Interior” დაშვებულია შეცდომა, უნდა ეწეროს Interior.

#### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (მოდის დიზაინი, მაგისტრატურა)**

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, „სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასკვნითი ეტაპი მოიცავს სამაგისტრო ნაშრომში რთული პრობლემების გადაჭრის ახალი,

ორიგინალური გზების ძიებას ან/და კვლევის დამოუკიდებელ განხორციელებას, კვლევის თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, რთული ან არასრული ინფორმაციის კრიტიკულ ანალიზს, პროდუქტის სამომხმარებლო თვისებების შეფასებას და დასკვნების ჩამოყალიბებას, რომლებიც ასახავს სოციალურ და ეთიკურ პასუხისმგებლობებს“. მოდის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა, როგორც ჩანს, თანმიმდევრულად არის შემუშავებული და მომზადებული. პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები (თითოეული ინდივიდუალური კურსის ჩათვლით) კარგად არის ორგანიზებული კრედიტებით 180/30, რაც მოიცავს მნიშვნელოვან კვლევით კომპონენტს - 30 კრედიტს სამაგისტრო ნაშრომისთვის. მაგრამ მაინც უნდა მოვითხოვოთ, რომ მეტი აქცენტი გაკეთდეს ინდივიდუალურ კვლევაზე, თანამედროვე მოდის თეორიაზე და მეტ პრაქტიკაზე. პოზიტიური ფაქტია, რომ სამაგისტრო პროგრამა განახლდა ახალი აკრედიტაციისთვის სამაგისტრო ნაშრომის შესრულების მიმართულებით, რომელიც სავარაუდოდ განხორციელდება როგორც დეპარტამენტში, ასევე პრაქტიკულ დაწესებულებებში. აღნიშნული სასწავლო კურსი სამი კურსის გაერთიანებით შეიქმნა. თვითშეფასების ანგარიში გვ.37 „კომპოზიციის შესრულება მასალაში-1 (ტანსაცმელი)“, „კომპოზიციის შესრულება მასალაში-2 (ფეხსაცმელი)“ და „საავტორო კოლექციის დიზაინი“ გაერთიანდა სასწავლო კურსში „დიზაინერის პროექტი“, რომელიც საბაკალავრო პროგრამაში ჯამში 15 კრედიტით არის წარმოდგენილი. სასწავლო კურსის შინაარსი მოიცავს პროცესს ესკიზის შედგენიდან საბოლოო პროდუქტამდე, რათა მივიღოთ ტანსაცმლის ერთი ანსამბლის შემადგენლობა, იმედია ამ შემთხვევაში ვსაუბრობთ სრულყოფილ მოდის კოლექციებზე და მოდის ჩვენებებზე. *ამ კურსს, რომელიც აერთიანებს მრავალ პრაქტიკულ საგანს ერთ საგნად, უნდა ჰქონდეს კიდევ უფრო გაზრდილი საათები და თავისი სივრცე/სტუდია/ სადაც სტუდენტებს შეეძლება, იმუშაონ საბოლოო პროექტებზე, თუნდაც სასწავლო პროცესის მიღმა, ასევე სხვადასხვა თანამშრომლობის ფარგლებში სათანადოდ აღჭურვილ სტუდიაში... ასევე გარემოში/უფრო კრეატიულ სივრცეში, როგორც ვნახეთ, მათ შეუძლიათ სრულად გამოხატონ გამორჩეული შემოქმედებითი საქმიანობა, რომელიც შერწყმულია თანამედროვე მოდასთან და მისი პრეზენტაციისა და კომუნიკაციის სისტემასთან. დაბოლოს, ძალიან მნიშვნელოვანია მოდის პროგრამის ვებგვერდის, ინსტაგრამის პროფილის ჩამოყალიბება, ახალი პროგრამისთვის ინფორმაციის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რაც მოიზიდავს სტუდენტებს, ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებს, საინტერესო თანამშრომლობას, უცხოელ პირებს და ა.შ. ინტერნაციონალიზაცია და თანამშრომლობა ასევე უნდა იყოს მაგისტრატურის დონის მთავარი ასპექტი, ამიტომ უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს სტუდენტების წახალისება, მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა უცხოურ კონკურსსა და პრეზენტაციაში, რაც ასევე ძალიან აკლდა საბაკალავრო პროგრამას.*

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- მოდის დიზაინის საბაკალავრო პროგრამა
- სამაგისტრო პროგრამა “მოდის დიზაინი”;
- საბაკალავრო პროგრამა „დიზაინი ტექსტილის და ინტერიერისთვის“;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შედგენისა და შემუშავების მეთოდოლოგია;
- სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში / აქტივობები და კომპონენტები, რომლებიც მიზნად ისახავს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობას;
- ვებგვერდი და მოდის დიზაინის ფეისბუქ გვერდი
- ინტერვიუს შედეგები.

### **კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

რეკომენდებულია მეტი ადგილობრივი და ძირითადად საერთაშორისო კონტაქტების გაზრდა პროფესიულ სფეროში;

რეკომენდებულია კლასტერის პროგრამების შესახებ ინფორმაციის განახლება სოციალურ მედიაში;

რეკომენდებულია კურსების სტრუქტურაში ჩართული იყოს უფრო მეტი საგანი და თემა თანამედროვე დიზაინის, დიზაინის თეორიის, სტილის სფეროდან.

დაბოლოს, ძალიან მნიშვნელოვანია მოდის პროგრამის ვებ გვერდის, ინსტაგრამის პროფილის ჩამოყალიბება, ახალი პროგრამისთვის ინფორმაციის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რაც მოიზიდავს სტუდენტებს, ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებს, საინტერესო თანამშრომლობას, უცხოელ პირებს და ა.შ.

### **კლასტერის საერთო რჩევები:**

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში მიზანშეწონილია და სასურველია ბიზნეს სექტორის და კრეატიული ლიდერების აქტიური ჩართვა, რაც გააძლიერებს მთელ პროგრამას, „მიაღწევს რა ოპტიმალურ შედეგებს, სასწავლო და მეთოდოლოგიურ პროცესში თეორიული, პრაქტიკული და შემოქმედებითი ასპექტების სინერგიით“;

სასურველია მეტი პრაქტიკული საგნების დამატება;

დიზაინზე ორიენტირებული საგნების ხილვადობა და მკაფიო სტრუქტურა.

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (მოდის დიზაინი (ბაკალავრიატი))

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

სასურველია კურსების სტრუქტურაში შევიდეს მეტი საგანი და თემა თანამედროვე

დიზაინის, დიზაინის თეორიის და სტილის სფეროდან;

ინტერნეტსა და სოციალურ მედიაში შეიქმნას წარმომადგენლობითი პლატფორმა ონლაინ კომუნიკაციისა და სტუდენტების შედეგების პრეზენტაციისთვის;

საპრეზენტაციო აქტივობების გაძლიერება - ინდივიდუალური პრეზენტაცია, როგორცაა პროფესიული პორტფოლიო, მოდის ჩვენება, ონლაინ პრეზენტაცია, გამოფენა, როგორც საბოლოო შეფასების ნაწილი;

სასურველია ზოგიერთი დისციპლინის სემესტრული განაწილების გადახედვა. მაგალითად, „ინფორმაციული ტექნოლოგია არქიტექტონიკაში“ ისწავლება პირველ სემესტრში, სტუდენტმა კი ჯერ არ იცის: პროცესები მოდის დიზაინში, არ იცის კომპოზიციის საფუძვლები, პრაქტიკული საქმიანობის ძირითადი კომპეტენციები, არ იცის პროგრამის მოთხოვნების შესაბამისი კომპიუტერული ტექნოლოგია.

**პროგრამა 2 (დიზაინი ტექსტილის და ინტერიერისთვისზაინი, ბაკალავრიატი)**

**რეკომენდაციები:**

რეკომენდებულია, რომ კურსების სტრუქტურაში შევიდეს შემდეგი დარგის მეტი საგანი: თანამედროვე დიზაინი, დიზაინის თეორია, სტილი და სხვა;

**რჩევები:**

**პროგრამა 3 (მოდის დიზაინი, მაგისტრატურა)**

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

უსდ-მ შესთავაზოს მაგისტრატურის სტუდენტებს საკუთარი შემოქმედებითი სივრცე - კოლაბორაციული მოდის სივრცე - მოდის ლაბორატორია, სახელოსნო, სადაც მაგისტრატურის სტუდენტებს შეუძლიათ იმუშაონ სასწავლო პროცესის გარეთაც კი;

\*\*\*\*\*

## შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია	მეტწილად	ნაწილობრივ	არ შეესაბამება
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და	მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია	მოთხოვნებს

შინაარსი		მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან	
პროგრამა 1 (მოდის დიზაინი, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (დიზაინი ტექსტილის და ინტერიერისთვისაინი, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (მოდის დიზაინი, მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

### 1.5. სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სწავლის სფეროს/ სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

#### კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სასწავლო გეგმის სწავლის შედეგები, რომელიც წარმოადგენს კლასტერად დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს, ითვალისწინებს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის კვალიფიკაციის აღმწერს, სწავლის სფეროს კლასიფიკატორის მიერ განსაზღვრული სწავლის დეტალური სფეროს შინაარსს (0212 - მოდა, ინტერიერი და სამრეწველო/სამრეწველო დიზაინი), უმაღლესი განათლების „დიზაინის, სამრეწველო დიზაინის, მოდის დიზაინის, ტექსტილის დიზაინის“ მიმართულებების მახასიათებლებს.

სასწავლო კურსების ძირითადი ნაწილის სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურებს. კერძოდ, თითოეული პროგრამის სავალდებულო კომპონენტის სწავლის შედეგების ძირითადი ნაწილი შეესაბამება პროგრამების მიზნებსა და შინაარსს (პროგრამით შედგენილი სასწავლო რუკები ადასტურებს ურთიერთკავშირს სასწავლო კურსებსა და საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგებს შორის).

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო გეგმის პროგრამა შეიცავს ინფორმაციას საგანზე. კერძოდ: კურსის დასახელება, კრედიტების რაოდენობა საკონტაქტო/არასაკონტაქტო საათების მიხედვით, სასწავლო გეგმის შემსრულებლის

სახელი/გვარი, მიზანი, შინაარსი, ფორმატი, სწავლის შედეგები, შეფასების სისტემა და კრიტერიუმები, სწავლების/სწავლის მეთოდები, სასწავლო რესურსები და ლიტერატურა.

კლასტერულ პროგრამებში პრაქტიკული დისციპლინები აქტიურად არის წარმოდგენილი, თუმცა მათ სასწავლო პროცესში საკონტაქტო საათების რაოდენობა მცირეა (კრედიტის საათების შესაძლებლობა სრულად არ არის გამოყენებული). სასურველია გაიზარდოს პრაქტიკული დისციპლინებისთვის განსაზღვრული საკონტაქტო საათები კლასტერის პროგრამების სპეციფიკის, კურსის შინაარსის და სწავლის შედეგების გათვალისწინებით, მით უფრო, რომ კრედიტების რაოდენობა იძლევა ამის საშუალებას.

სასწავლო მასალა ძირითადად შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს, ითვალისწინებს ბიზნესის რეალურ მიღწევებს და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობას თანამედროვე მოთხოვნებთან.

კლასტერის პროგრამების სასწავლო გეგმა ძირითადად ორიენტირებულია უტილიტარული უნარების განვითარებაზე. სასურველია პროგრამებში აქტიურად იყოს წარმოდგენილი/დამატებული ბაზარზე ორიენტირებული დისციპლინები, რათა დააკმაყოფილოს საერთაშორისო დიზაინის განათლების მოთხოვნები და თავად კლასტერის პროგრამების მიზნები. ეს შეიძლება გაკეთდეს არჩევითი დისციპლინების დამატებით.

#### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (მოდის დიზაინი, ბაკალავრიატი)**

"ტანსაცმლის დიზაინის" პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შედეგები შეესაბამება სასწავლო პროგრამის შედეგებს. პროგრამა მოიცავს საუნივერსიტეტო, საბაზო და არჩევით აკადემიურ დისციპლინებს, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს გაიდრმავოს ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალიზებული კომპეტენციები, ასევე დაეუფლოს დამატებით (მაინორ) პროგრამას. ამას ადასტურებს პროგრამასთან დაკავშირებული სწავლის შედეგების რუკა. სასწავლო კურსებზე კრედიტები ნაწილდება შემდეგნაირად:

- ფაკულტეტის კურსები - 23 კრედიტი
- სავალდებულო კურსები - 144 კრედიტი
- არჩევითი კურსები - 13 კრედიტი

დამატებითი (მაინორ) პროგრამა - 60 კრედიტი.

პროგრამაში შემავალი სავალდებულო დისციპლინების ძირითადი ნაწილი მოიცავს 5 კრედიტს, გარდა ორი დისციპლინისა, რომელიც მოიცავს 3 კრედიტს (ტანსაცმლის 3D მოდელირება) და 4 კრედიტს (სპეციალური კომპოზიცია 3). გარდა ამისა, რადგან პრაქტიკულ დისციპლინებში კრედიტ საათები არ არის სრულად გამოყენებული და მცირეა (2 ან 3 საათის მოცულობით), მიზანშეწონილია დარეგულირდეს კრედიტები ან სასწავლო კურსების საათების რაოდენობა, მაგალითად, 5 კრედიტი - 4, 5 ან 6 საათი, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

პროგრამაში შედის განახლებული სასწავლო კურსები, თუმცა საჭირო ლიტერატურა და პროგრამებში მითითებული სხვა სასწავლო მასალები უნდა გადაიხედოს (კურსების ზოგიერთი თემა საჭიროებს ლიტერატურის განახლებას ან დამატებას). პროგრამაში მითითებული ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალები საჭიროებს განახლებას ან/და დამატებას თანამედროვე მეთოდოლოგიური ლიტერატურით, ბმულებით, სასწავლო ვიდეოებით და ა.შ. (ტრადიციული ტექნოლოგიების გარდა, სასურველია დაემატოს საინფორმაციო ბაზა უახლეს მიღწევებზე).

პროგრამა გამდიდრებულია დამატებითი კომპონენტით (მაინორი / 60 კრედიტი), რაც ხელს უწყობს პროგრამის მოქნილობისა და პრაქტიკული კომპონენტის ამაღლებას.

პროგრამის სასწავლო გეგმა ძირითადად ორიენტირებულია უტილიტარული უნარების განვითარებაზე, ასევე, სტუდენტს უნდა მიეცეს საშუალება შეისწავლოს საბაზრო ურთიერთობების საფუძვლები. სასურველია, პროგრამაში აქტიურად იყოს წარმოდგენილი ბაზარზე ორიენტირებული დისციპლინები, რათა დააკმაყოფილოს საერთაშორისო დიზაინის განათლების მოთხოვნები და თავად პროგრამის მიზნები. ეს შეიძლება გაკეთდეს არჩევითი დისციპლინების დამატებით.

### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ტექსტილისა და ინტერიერის დიზაინი, ბაკალავრიატი)**

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შედეგები შეესაბამება პროგრამის შედეგებს და უზრუნველყოფს კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის მომზადებას - დიზაინის ბაკალავრი ფართო დარგობრივი ცოდნითა და დარგის კომპეტენციებით, რომელიც ორიენტირებულია პრაქტიკულ საქმიანობაზე და უმაღლესი განათლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელებაზე.

სილაბუსებში მითითებულია საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები, თუმცა მიზანშეწონილია საკონტაქტო დროის მოცულობის გადახედვა, რადგან შედეგზე ორიენტირებული პრაქტიკული აქტივობა მაქსიმალურ დროს მოითხოვს (ასეთ შესაძლებლობას იძლევა პრაქტიკული დისციპლინებისთვის გამოყოფილი 5 კრედიტი).

სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების უზრუნველსაყოფად სასწავლო გეგმა განსაზღვრავს სტუდენტთა ცოდნის შეფასების შესაბამის კომპონენტებსა და კრიტერიუმებს. სასწავლო გეგმის რუკა წარმოადგენს კავშირს სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლის შედეგებსა და სასწავლო კურსებს შორის.

საჭირო/დამატებითი საკითხავი და სხვა სასწავლო მასალა, რომელიც მითითებულია მოწოდებულ კურსის სილაბუსებში (სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია - 38, სილაბუსიდან მხოლოდ 22), ისევე როგორც პროგრამის ძირითადი ლიტერატურის პაკეტი, რომელიც შექმნილია პროგრამის პერსონალის მიერ და ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში, შეესაბამება კურსის შინაარსს და ითვალისწინებს სწავლის შედეგებს. ამასთან ერთად, სასურველია დაემატოს განახლებული ლიტერატურა ადგილობრივ და საერთაშორისო მიღწევებზე.

სტუდენტს უფლება აქვს გაიაროს პროგრამით განსაზღვრული დამატებითი (მაინორ) პროგრამა (60 ECTS). ამას ადასტურებს პროგრამასთან კოორდინირებული სწავლის შედეგების რუკა.

---

### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (მოდის დიზაინი, MA)[1]**

სამაგისტრო პროგრამის „მოდის დიზაინი“ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები შეესაბამება სასწავლო კურსის შინაარსს.

პროგრამა მოიცავს განახლებულ სასწავლო კურსებს. ლექციები, პრაქტიკული მეცადინეობები, სემინარები, ლაბორატორიული სამუშაოები და ა.შ განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსის შინაარსისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით.



საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა შეადგენს 120 ECTS კრედიტს, საიდანაც: აუცილებელი კურსები - 87 კრედიტია, არჩევითი კურსები და მოდულები - 33 კრედიტი. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა - 30 კრედიტი;

პროგრამა გამდიდრებულია დამატებითი კომპონენტით (მაინორი), რომელიც აძლიერებს პროგრამის მოქნილობას და პრაქტიკულ კომპონენტს, ხოლო სტუდენტს უნდა მიეცეს საშუალება შეისწავლოს საბაზრო ურთიერთობები (სასურველია, რომ პროგრამაში აქტიურად იყოს დანერგილი/დამატებული საბაზრო დისციპლინები. საერთაშორისო დიზაინის განათლების მოთხოვნების და თავად პროგრამის მიზნების დაკმაყოფილების მიზნით. ეს შეიძლება გაკეთდეს არჩევითი დისციპლინების დამატებით).

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და სხვა საგანმანათლებლო მასალები ითვალისწინებს კურსის სწავლის შედეგებს, პროგრამის პერსონალმა შექმნა და ბიბლიოთეკაში შეიტანა სასწავლო კურსებისთვის საბაზისო ლიტერატურის პაკეტი, რაც, სასურველია, შეიცავს ადგილობრივი და საერთაშორისო მიღწევების შესახებ უახლესი ლიტერატურით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

1. ბაკალავრის პროგრამა „მოდის დიზაინი“
2. მაგისტრატურა „მოდის დიზაინი“
3. ბაკალავრის საგანმანათლებლო პროგრამა „ტექსტილის და ინტერიერის დიზაინი“
4. სასწავლო კურსების სილაბუსები
5. კომპეტენციების რუკა, პროგრამის სწავლის შედეგებისა და სამიზნე ნიშნულების მონიტორინგი
6. დადგენილება No61(21/22), 6.06.2022წ.: საჯარო სამართლის იურიდიული პირის- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის -აკადემიური პერსონალის, ემერიტუსების, მასწავლებლებისა და მოწვეული სპეციალისტების წლიური სასწავლო, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვის ნორმების დამტკიცების შესახებ
7. სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები
8. აწესი ბიბლიოთეკა <https://library.atsu.edu.ge/>

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- სასურველია გაიზარდოს პრაქტიკული დისციპლინების საკონტაქტო საათები, სასწავლო კურსების სპეციფიკისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით;
- სასურველია საგანმანათლებლო პროცესს აქტიურად დაემატოს მომიჯნავე ზოგადი ჰუმანიტარული დისციპლინები (არჩევითი დისციპლინების სახით), რაც დაეხმარება სტუდენტებს მრავალმხრივი საბაზისო თეორიული ცოდნის შეძენაში, ინტელექტუალური და კულტურული თეზაურუსის ჩამოყალიბებაში;
- სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის მითითებულ ჩამონათვალში სასურველია შევიდეს მეტი ლიტერატურა ახალ ტექნოლოგიებზე, მშენებლობაზე,

ციფრულ ტექნოლოგიებზე, მოდის თეორიაზე და ა.შ.;

- სწავლის დასაწყისში სასურველია სპეციალიზებული დისციპლინების საფუძვლების სწავლება;
- სასურველია პორტფოლიოს დიზაინის პრინციპების გადახედვა;
- დამოუკიდებელი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა (არჩევითი დისციპლინების შემადგენლობის გაცნობა);
- სასურველია გადაიხედოს სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამატებით ლიტერატურა - მიეთითოს ლიტერატურა მსოფლიო მიღწევების შესახებ ახალი ტექნოლოგიების, ციფრული ტექნოლოგიების, მოდის თეორიის სფეროში და ა.შ. ასევე მითითებული უნდა იყოს კონკრეტული ელექტრონული ფოსტის მისამართები (მასტერკლასები, სემინარები, ლექცია/პრაქტიკის დაჩქარებული კურსები, დოკუმენტური და მხატვრული ფილმები და ა.შ).

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და წინადადებები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

### **პროგრამა 1 ( მოდის დიზაინი, ბაკალავრიატი)**

#### **რეკომენდაციები:**

ასევე გასათვალისწინებელია დისციპლინის („ინფორმაციული ტექნოლოგია“) სახელწოდების შეუსაბამობა პროგრამის შინაარსთან - დისციპლინა „ინფორმაციული ტექნოლოგია“ შეისწავლის ქსელის ინჟინერიას (მონაცემთა ბაზები, ქსელები და საკომუნიკაციო სისტემები, ვებ სისტემები, ინფორმაციის დაცვა და უსაფრთხოება, გამოთვლითი ხელსაწყოები და ა.შ.), ხოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, დისციპლინაში ისწავლება გრაფიკული პროგრამები (Adobe Photoshop, CorelDRAW, Microsoft PowerPoint ამზადებს პრეზენტაციას). ამიტომ სასურველია ეს კურსი მომდევნო სემესტრში შესაბამისი შინაარსით ისწავლებოდეს. არქიტექტურის საფუძველზე, სამუშაო უნდა განხორციელდეს სივრცეში, დიზაინის მეთოდებით (ეს ხელს უწყობს სივრცითი აზროვნების განვითარებას და ა.შ.). პრაქტიკული მუშაობისთვის სასურველია დაემატოს საკონტაქტო საათი;

წინაპირობა "გრაფიკა" არ შეესაბამება დისციპლინას "ფორმირების საფუძვლები", რადგან კურსის "ფორმირების საფუძვლები" მიზანი და შედეგები განსაზღვრავს მოდის ილუსტრაციის შინაარსს (კოსტუმის ფორმა, ფერი და შინაარსი, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის გამოყენება, ტექსტურები კოლაჟში და ა.შ.), მაშინ როცა „გრაფიკის“ სილაბუსის მიზნები და შედეგები მოიცავს ობიექტების პროპორციების წრფივ-კონსტრუქციულ აგებას, ხაზოვან პერსპექტივას, ქიაროსკუროს ფორმებს, ფონის

დაჩრდილვას და შეფასება განისაზღვრება გრაფიკული კომპოზიციის ხარისხით (ნატურმორტი საყოფაცხოვრებო ნივთებით, მარტივი თაბაშირის რელიეფის დახატვა და ა.შ.);

სავალდებულო დისციპლინებს წინაპირობად არ უნდა ჰქონდეს არჩევითი დისციპლინები, მაგალითად, პროგრამაში სავალდებულო დისციპლინებს "ფეხსაცმლისა და ტყავის ნაწარმის ტექნიკური მოდელირების საფუძვლები" და "ტანსაცმლის ტექნიკური მოდელირების საფუძვლები" წინაპირობად აქვთ არჩევითი დისციპლინები "ტექნიკური ნახაზის საფუძვლები" და „ტექნიკური იკონოგრაფია“.

#### **რჩევები - პროგრამა 1 (მოდის დიზაინი, ბაკალავრიატი)**

- სასურველია დაემატოს საკონტაქტო საათები დისციპლინას "კომპიუტერული ტანსაცმლის დაგეგმვა";
- დისციპლინები "ფეხსაცმლისა და ტყავის ნაწარმის ტექნიკური მოდელირების საფუძვლები, ტანსაცმლის ტექნიკური მოდელირების საფუძვლები, ტანსაცმლის ტექნოლოგიის საფუძვლები“ - უნდა ისწავლებოდეს კურსის დასაწყისში (საკონტაქტო საათებთან ერთად), სწავლების თანმიმდევრობის მიხედვით;
- "საკერავი მასალების" დისციპლინის სასწავლო გეგმის შინაარსი შეესაბამება "მასალების მეცნიერების" დისციპლინა. მიზანშეწონილია საგანს დაერქვას "მასალების მეცნიერება" და ისწავლებოდეს კურსის დასაწყისში;
- "მენეჯმენტის მარკეტინგი მოდის ინდუსტრიაში და ბიზნესში" დისციპლინისთვის მიზანშეწონილია დარჩეს მხოლოდ სათაური "მენეჯმენტი და მარკეტინგი მოდის ინდუსტრიაში", რადგან ინდუსტრია თავისთავად ნიშნავს ბიზნესს. ასევე სილაბუსის ტექსტში არის სახელწოდება „სამოდელო ბიზნესი“ - შინაარსიდან გამომდინარე სასურველია დაიწეროს „მოდის ბიზნესი“;
- სასურველია გადაიხედოს პორტფოლიოს დიზაინის მეთოდები და პრინციპები ზემოაღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად.

დისციპლინების სახელები "ტანსაცმლისა და მოდის ტენდენციების ისტორია" და "ტყავის ნაწარმის კულტურული მემკვიდრეობა და მოდის ტენდენციები" სასურველია შეიცვალოს "ტანსაცმლისა და მოდის ტენდენციების ისტორია" (იგულისხმება მხოლოდ სატაურის ქართულად ფორმულირება); და "ტყავის ნაწარმის კულტურული მემკვიდრეობა და მოდის ტენდენციები" (იგულისხმება მხოლოდ სატაურის ქართულად ფორმულირება);

#### **პროგრამა 2 (ტექსტილისა და ინტერიერის დიზაინი, ბაკალავრიატი)**

**რეკომენდაციები:**

**რჩევები - პროგრამა 2 (ტექსტილისა და ინტერიერის დიზაინი, ბაკალავრიატი)**

- საბაზისო საგნები სასურველია ისწავლებოდეს კურსის დასაწყისში (საკონტაქტო საათებთან ერთად), სწავლების თანმიმდევრობის შესაბამისად.
- მიზანშეწონილია შეიცვალოს დისციპლინის სახელწოდება "სტილის შერჩევის საფუძვლები", მაგალითად, „ინტერიერის დიზაინის ისტორიით“ ან სხვა. რადგან პროგრამა ასწავლის ინტერიერის დიზაინის განვითარების ეტაპებს, მათ შორის სტილებს.
- სასურველია პორტფოლიოს დიზაინის მეთოდებისა და პრინციპების გადახედვა ზემოაღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად.

**პროგრამა 3 (მოდის დიზაინი, მაგისტრატურა)**

**რეკომენდაციები:**

დისციპლინა "მოდის ჟურნალის გრაფიკა" - ამ საგნის დასახელება სასურველია განისაზღვროს, როგორც "სპეციალური ნახატი", "კოსტიუმების დიზაინი" და ა.შ., რადგან სასწავლო გეგმის შინაარსის მიხედვით, დისციპლინის ამოცანაა ტანსაცმლის ან ტანსაცმლის დიზაინის გრაფიკული გამოსახულების სწავლება. ასევე რეკომენდებულია, რომ საჭირო ლიტერატურა მოიცავდეს სპეციალურ ლიტერატურას, რომელიც დაკავშირებულია მოდის ილუსტრაციასთან.

**რჩევები -**

- დისციპლინა "მოდის ფსიქოლოგია და სოციოლოგია" (არჩევითი) მოდის თეორიის ორი დამოუკიდებელი დისციპლინაა, განსხვავებული ცნებებითა და შედეგებით, შესაბამისად, არ არის მიზანშეწონილი მათი გაერთიანება ერთ საგანში და ერთ სემესტრში;
- ასევე სასურველია სათაურში მითითება, რომ ის არ ისწავლება ფუნდამენტურად, არამედ მხოლოდ საფუძვლების დონეზე.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 1.5 აკადემიური კურსი/საგანი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
--	---------------------------------	---	---	------------------------------

პროგრამა 1 მოდის  
დიზაინი მოდის



**დიზაინის ბაკალავრი**

	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
<i>პროგრამა 2 ტექსტილისა და ინტერიერის დიზაინი ბაკალავრის ხარისხი</i>				
<i>პროგრამა 3 მოდის დიზაინი მოდის დიზაინის მაგისტრი</i>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა**

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
<i>პროგრამა 1 მოდის დიზაინი მოდის დიზაინის ბაკალავრი</i>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
<i>პროგრამა 2 ტექსტილისა და ინტერიერის დიზაინი, ბაკალავრის ხარისხი</i>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
<i>პროგრამა 3 მოდის დიზაინი მოდის დიზაინის მაგისტრი</i>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლა-სწავლების მეთოდები და სტუდენტის შეფასება ითვალისწინებს სასწავლო სფეროს სპეციფიკას, დონის მოთხოვნებს, სტუდენტის საჭიროებებს და უზრუნველყოფს ჩართულობას მიზნებისა და მოსალოდნელ სწავლის შედეგების მიღწევაში.

## 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს პროგრამაში შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირების ჩართვას სწავლის შედეგების მისაღწევად.

### კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

კლასტერში დაჯგუფებულ პროგრამებს აქვთ დაშვების წინაპირობები და პროცედურები, რომლებიც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, სამართლიანი, გამჭვირვალე, ხელმისაწვდომი და შესაბამისია პროგრამის შინაარსთან და სწავლის მოსალოდნელ შედეგებთან. პროგრამებზე დაშვების წინაპირობები უზრუნველყოფს პროგრამაში შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირების ჩართვას სწავლის შედეგების მისაღწევად.

### აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1, მოდის დიზაინი. ბაკალავრიატი

საბაკალავრო პროგრამის „მოდის დიზაინი“ პროგრამაში მიღების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, არის საჯარო, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირების ჩართულობას პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

კერძოდ, საბაკალავრო პროგრამაზე მიღება ხორციელდება:

- ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. არ არსებობს დამატებითი წინაპირობები ან გამოცდები აპლიკანტებისთვის პროგრამაში ჩარიცხვისთვის.
- გარე ან შიდა მობილობის საფუძველზე, საკანონმდებლო და საუნივერსიტეტო ნორმებისა და დებულებების შესაბამისად.
- ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესითა და ვადებით.

პროგრამაში მისაღები წინაპირობების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია პროგრამის აღწერით, რომელიც გასაჯაროებულია აწსუ-ს ვებგვერდზე; პროგრამის კატალოგში, რომელიც ასევე ხელმისაწვდომია დაწესებულების ვებგვერდზე და ეროვნული გამოცდებისა და შეფასების ცენტრის აბიტურიენტებისთვის. დაწესებულება ასევე მართავს ღია კარის დღეებს პერსპექტიული აბიტურიენტებისთვის და ავრცელებს ინფორმაციას სხვადასხვა პროგრამებზე.

პროგრამის დაშვების წინაპირობების ანალიზის, მათი პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან კავშირის და პროგრამის შეფასების პროცესის საფუძველზე, ინტერვიუების ჩათვლით, მოდის დიზაინის ბაკალავრიატის პროგრამის მისაღები წინაპირობები შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებს და არ არის საჭირო კორექტირება და ცვლილებები.

### აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2, დიზაინი ტექსტილისა და ინტერიერისთვის, ბაკალავრიატი

„ტექსტილისა და ინტერიერის დიზაინის“ საბაკალავრო პროგრამის მიღების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, არის საჯარო, გამჭვირვალე, ხელმისაწვდომი და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირების ჩართულობას პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

კერძოდ, საბაკალავრო პროგრამაზე მიღება ხორციელდება:

- ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. არ არსებობს დამატებითი წინაპირობები ან გამოცდები აპლიკანტებისთვის პროგრამაში ჩარიცხვისთვის.
- გარე ან შიდა მობილობის საფუძველზე, საკანონმდებლო და საუნივერსიტეტო ნორმებისა და დებულებების შესაბამისად.
- ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესითა და ვადებით.

„დიზაინი ტექსტილისა და ინტერიერის“ საბაკალავრო პროგრამის მისაღები წინაპირობების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია დაწესებულების ვებგვერდის საშუალებით - პროგრამის აღწერა ხელმისაწვდომია აწსუ-ს ვებგვერდზე და პროგრამის კატალოგზე; ეროვნული გამოცდებისა და შეფასების ცენტრის აბიტურიენტებისთვის და აბიტურიენტებისთვის ღია კარის დღეებში გავრცელებული ინფორმაციის მეშვეობით.

პროგრამის დაშვების წინაპირობების ანალიზის, მათი პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან კავშირის და პროგრამის შეფასების პროცესის საფუძველზე, ინტერვიუების ჩათვლით, მოდის დიზაინის ბაკალავრიატის პროგრამის მისაღები წინაპირობები შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებს და არ არის საჭირო კორექტირება და ცვლილებები.

#### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3, მოდის დიზაინი, MA**

„მოდის დიზაინის“ სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, პროგრამის შინაარსს და სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს პროგრამაში შესაბამისი კვალიფიკაციისა და უნარების მქონე პირების მიღებას. მოდის დიზაინის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ასევე სამართლიანი, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია.

„მოდის დიზაინის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა:

- ბაკალავრის ხარისხი შესაბამის ან დაკავშირებულ სფეროში (ან მის ეკვივალენტში).
- ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება.
- საუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება სპეციალობაში.
- უცხო ენების ცოდნა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) მინიმუმ B1 დონეზე.

პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია ერთიანი სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე, კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად და შიდა და გარე მობილობით.

საგამოცდო კითხვები და შიდა გამოცდის თემები გამოქვეყნებულია ვებგვერდზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საბაკალავრო პროგრამა „მოდის დიზაინი“;
- საბაკალავრო პროგრამა „ტექსტილისა და ინტერიერის დიზაინი“;
- სამაგისტრო პროგრამა „მოდის დიზაინი“;
- კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: -

კლასტერის საერთო რჩევები: -

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:-

### შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (მოდის დიზაინო, ბაკალავრიატი)	●	□	□	□
პროგრამა 2 (ტექსტილისა და ინტერიერის დიზაინი, ბაკალავრიატი)	●	□	□	□
პროგრამა 3 (მოდის დიზაინი, მაგისტრატურა)	●	□	□	□

### 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის ძირითადი მიზანი სწავლის შედეგებისა და განათლების დონის მიხედვით არის სტუდენტების პრაქტიკული, შემოქმედებითი უნარების განვითარება და მათი ჩართულობა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში. ეს შეესაბამება სტანდარტს თეორიულად, თუმცა პრაქტიკაში სამივე ნაწილის მიხედვით, საკმაოდ პრობლემურია, დღევანდელ რეალობაში. პრაქტიკული უნარების განვითარების დონეზე რეკომენდებულია სასწავლო გეგმის ფარგლებში პრაქტიკული კურსების შინაარსი განახლდეს თანამედროვე საკითხებითა და თემებით და მეტი მუშაობა საჭირო დიზაინზე ორიენტირებულ, მაღალი ესთეტიკური ღირებულების სფეროების და არა სამოყვარულო, სახლში დამზადებული პროდუქტების განვითარებაზე. წარმოდგენილი სტუდენტური ნამუშევრების მაღალი ესთეტიკური ღირებულება და მაღალი პროფესიონალიზმი



ადგილზე ვიზიტისას, ასევე Fb გვერდზე, სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში არ იყო სახეზე. როგორც მაგალითი / ძალიან მიზანშეწონილია ძველი ტრადიციული ტექნიკის სწავლება, მაგრამ უნივერსიტეტის დონეზე ეს შეძენილი უნარები და ცოდნა უნდა განახლდეს შემდეგ საფეხურზე. სამეცნიერო კვლევებში ჩართულობა აუცილებლად უნდა გაიზარდოს ბაკალავრიატის დონეზე და ძირითადად საბოლოო ნაშრომის დაუფლების ეტაპზე.

ასევე მნიშვნელოვანია *სამრეწველო პრაქტიკის პროცესის გაძლიერება. თვითშეფასების ანგარიშში არსებობს მრავალი შეთანხმების მტკიცებულება, მაგრამ ჯერ კიდევ არის სივრცე მეტი კომპანიის მოსაზიდად.*

გირჩევთ, კიდევ უფრო მეტად მხარი დაუჭიროთ სტუდენტებს ადგილობრივ სცენაზე მონაწილეობის მისაღებად. თვითშეფასების ანგარიშიდან ჩანს, საუნივერსიტეტო, რეგიონულ და საერთაშორისო ღონისძიებებში, გამოფენებსა და ფესტივალებში მონაწილე სტუდენტების სია, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სტუდენტის შემოქმედებითი უნარების განვითარებას, მაგრამ ეს უნდა იყოს უზრუნველყოფილი რეგულარულად. მაგალითად, კარგი პრაქტიკაა სკოლის მიერ მხარდაჭერილი ღონისძიება, სადაც სტუდენტთა დასკვნითი ნამუშევრები ქუთაისის პროფესიონალ და ხალხურ საზოგადოებას წარედგინება ყოველწლიური ჩვენების ან გამოფენის სახით. ასევე სასწავლო გეგმის ნაწილი უნდა იყოს სტუდენტის ონლაინ პრეზენტაცია ინტერნეტში ან სოციალური მედიის საშუალებით.

ასევე მიზანშეწონილია ითანამშრომლოთ მოდის დიზაინის სტუდენტებთან, შექმნათ არა მხოლოდ ტრადიციული ტექსტილი, არამედ თანამედროვე ტექსტილიც და ისეთი პრინტები და ქსოვილები, რომლებიც გამოიყენება თანამედროვე მოდაში. ის ნამუშევრები, რაც დათვალისთვის ვნახეთ, იყო დაბალი დონის ტექსტილი, სამოყვარულო დონეზე შესრულებული და არა განათლებული პროფესიონალების მიერ შექმნილი.

**საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (დასახელება და დონე)**

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კლასტერული აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- ადგილზე ვიზიტი;
- საერთაშორისო კონკურსებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (დანართი 13); სტუდენტური კონფერენციების პროგრამა 2018, 2019, 2020 (დანართი 13);
- შესაბამისი ხელშეკრულებები/მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან და პარტნიორ ორგანიზაციებთან (დანართი 7);
- უნივერსიტეტის ვებგვერდი - დიზაინერების წარმატების შესახებ

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

საწარმოო პრაქტიკის პროცესში რეკომენდებულია ინტერდისციპლინარული პროექტების შემუშავება - კრეატიულობის, ტექნოლოგიების, დიზაინისა და სავაჭრო ინსტრუმენტების შერწყმა და უნარების გამოყენება;

რეკომენდებულია გამოგონებისა და კრეატიულობის გაზრდა, თუ როგორ მოხდეს ტრადიციული საოსტატო უნარების ტრანსფერი დიზაინის დონეზე;

რეკომენდებულია პროფესიული ურთიერთობების მეტად გაფართოება მოდის სფეროს წარმომადგენლობით კომპანიებთან.

### კლასტერის საერთო რჩევები:

ზოგადად კვლევით პროექტებში სტუდენტების ჩართულობის გაზრდა;

ინდივიდუალური ან აკადემიური თანამშრომლობის საფუძველზე კვლევით პროექტებში სტუდენტების ჩართულობის გაზრდა;

სტუდენტთა ჩართულობის გაზრდა თეორიულ კვლევით პროექტებში;

უზრუნველყოფილი იყოს, რომ მიმდინარე პროექტები დაფუძნდეს რეალურ პრაქტიკაზე;

ხელი შეეწყოს სტუდენტთა ინიციატივებს საპროექტო საქმიანობებში.

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და წინადადებები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

ასევე სასურველია ითანამშრომლოთ მოდის დიზაინის სტუდენტებთან, შექმნათ არა მხოლოდ ტრადიციული ტექსტილი, არამედ თანამედროვე ტექსტილიც და ისეთი პრინტები და ქსოვილები, რომლებიც გამოიყენება თანამედროვე მოდაში. ის ნამუშევრები, რაც დათვალისთვისაა ვნახეთ, იყო დაბალი დონის ტექსტილი, სამოყვარულო დონეზე შესრულებული და არა განათლებული პროფესიონალების მიერ შექმნილი.

### შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების კომპონენტებთან შესაბამისობა

კომპონენტი 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ შეესაბამება მოთხოვნებს

უნარების განვითარება

პროგრამა 1 (მოდის დიზაინი, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ტექსტილისა და ინტერიერის დიზაინი, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (მოდის დიზაინი, მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები;**

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება**

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

კლასტერად დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა განსაზღვრავს თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების შეძენის შესაძლებლობას და ზოგადი და ინდუსტრიული კომპეტენციების ჩამოყალიბებას, კერძოდ, სასწავლო კურსები ითვალისწინებს სწავლების ისეთ მეთოდებს, როგორცაა საშინაო დავალება, ინდივიდუალური სამუშაო და პორტფოლიო, მოხსენებების მომზადება პრეზენტაციებისა და კონფერენციებისთვის.

სასწავლო კურსები მოიცავს ლაბორატორიულ და პრაქტიკულ სამუშაოებს, რომელთა მონიტორინგი ყოველკვირეულად მიმდინარეობს კონკრეტული დავალებების, ჯგუფური მუშაობისა და პრაქტიკული მუშაობის გზით.

გარდა ამისა, პროგრამა ითვალისწინებს სწავლებას და პრაქტიკულ სწავლებას სხვადასხვა საწარმოში.

სწავლების პერიოდში გათვალისწინებულია შემდეგი მეთოდები, შემუშავებული „დიზაინის, სამრეწველო დიზაინის, მოდის დიზაინის, ტექსტილის დიზაინის“ უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლების მიხედვით: ვერბალური მეთოდი, პრაქტიკული მეთოდი, ელექტრონული სწავლების მეთოდი, დემონსტრირები მეთოდი, ლაბორატორიული მეთოდი, დისკუსია/დებატები, ევრისტიკული მეთოდები.

სასწავლო პროცესის ხარისხიანი წარმართვის, ფაკულტეტზე კონტროლის მიზნით გააქტიურდა კლასებში ორმხრივი ვიზიტის პრაქტიკა. პროგრამის პერსონალი პერიოდულად მონაწილეობს

სწავლება/სწავლის მეთოდებთან დაკავშირებულ ტრენინგებში, რომელსაც ატარებს როგორც უნივერსიტეტი, ასევე ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტები.

პროგრამით დასახული მიზნების მისაღწევად სასწავლო პროცესში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი, მათ შორის გარკვეული „თეორიული ცოდნისა და კვლევითი სამუშაოს მრავალფეროვნება“, რომელშიც სასურველია კვლევითი ობიექტების შემუშავება არა მხოლოდ ტრადიციული ტექნოლოგიების, არამედ პროგრამაში მითითებული მეთოდების მთელი ნაკრების გამოყენებით, კერძოდ, სტუდენტთა მუშაობის შედეგებში, ხაზი უნდა გაესვას ევრისტიკული მეთოდების მნიშვნელობას, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტს გააფართოვოს კრეატიულობის დიაპაზონი.

### საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- მოდის დიზაინის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსი;
- მოდის დიზაინის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსი;
- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „დიზაინი ტექსტილისა და ინტერიერისთვის“ და სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიში;
- დიზაინი, სამრეწველო დიზაინი, მოდის დიზაინი და ტექსტილის დიზაინი უმაღლესი განათლების დამახასიათებელი ნიშანია;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- სტუდენტთა მუშაობა;
- სტუდენტთა პორტფოლიო.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

#### კლასტერის საერთო რჩევები:

პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სწავლების მეთოდები, რა თქმა უნდა, ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას. გარდა ამისა, სასურველია სასწავლო პროცესში ევრისტიკული მეთოდების აქტიური გამოყენება, ვინაიდან სილაბუსებში სამუშაოს აღწერა ასახავს მხოლოდ მოდელირების პროცესს და არა დიზაინის მიდგომები.

დღეს მასწავლებლის როლი ფართოვდება. მოთხოვნადია პიროვნება-ექსპერიმენტატორი, რომელიც შეიმუშავებს და ახორციელებს დიზაინის მეთოდებს, ეძებს განათლების ახალ ფორმებს, ავლენს მსოფლიო პროცესების თანამედროვე გაგებას, აუცილებლად ფლობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო საგანმანათლებლო ტექნოლოგიების ცოდნას, რაც აისახება პროგრამის მიზნებში. სასურველია მკაფიოდ იყოს განსაზღვრული აქტივობები ამ მიმართულებით;

მასწავლებლის მეთოდები, რომლებიც ასახავს პროგრამის სასწავლო გეგმას, უდავოდ ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას. გარდა ამისა, სასურველია სასწავლო პროცესში ევრისტიკული მეთოდების აქტიური გამოყენება, ვინაიდან სილაბუსებში სამუშაოს აღწერა ასახავს მხოლოდ მოდელირების პროცესს და არა დიზაინის მიდგომებს;

კლასტერის პროგრამების თვითშეფასებისას სასურველია კონკრეტულად მიეთითოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მომზადების/განათლების მეთოდებთან დაკავშირებული ტრენინგების შინაარსი;

სასურველია, რომ კლასტერის პროგრამების სტუდენტების შედეგები (ნამუშევარი) ასახავდეს ევრისტიკული დიზაინის მეთოდებს, რომლებიც ავითარებენ პრობლემის გადაჭრის გზებს და არასტანდარტულ შემოქმედებით აზროვნებას;

ინვერსიის მეთოდები მოითხოვს ინტეგრირებულ მიდგომას, ამიტომ სასურველია კლასტერის პროგრამების სილაბუსებში ამ მეთოდებით მიღებული შედეგების მკაფიოდ აღწერა (სპეციფიკურობის გათვალისწინებით).

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და წინადადებები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

## შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების კომპონენტებთან შესაბამისობა

კომპონენტი 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (მოდის	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

დიზაინო, ბაკალავრიატი)

პროგრამა 2 (ტექსტილისა და ინტერიერის დიზაინი, ბაკალავრიატი)



პროგრამა 3 (მოდის დიზაინი, მაგისტრატურა)



## 2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტთან;

- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

**კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება**

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამის პერსონალის შეფასება და შედეგების ანალიზი ხორციელდება ყოველწლიურად. პროცესი რეგულირდება აკადემიური საბჭოს დადგენილებით "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის და ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტების წლიური სასწავლო, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვის ნორმების დამტკიცების შესახებ (№ 65(18/19) 10.07.2019). თითოეული პერსონალის ინდივიდუალური დატვირთვა მტკიცდება ყოველწლიურად დეპარტამენტის სხდომაზე, შემდეგ წარედგინება ფაკულტეტის დეკანს და ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო. დატვირთვა მოიცავს პერსონალის საგანმანათლებლო, სასწავლო-მეთოდურ და სამეცნიერო დატვირთვას. მიმდინარეობს დამტკიცებული დატვირთვის შესრულების მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში იქმნება სპეციალური კომისია პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შედეგების ხარისხობრივად შეფასებისთვის. სწავლების პროცესის შესაფასებლად ასევე გამოიყენება კოლეგიური დაკვირვება და სტუდენტთა

გამოკითხვის შედეგები. პერსონალს ეცნობება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ. მამასადამე, თვითშეფასების ანგარიშის ანალიზის, შესაბამისი დოკუმენტებისა და გასაუბრების შედეგებზე დაყრდნობით, რეგულარულად ფასდება კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების პერსონალის საქმიანობა, ხოლო შეფასების შედეგები ანალიზდება და გამოიყენება. პერსონალის საქმიანობის შეფასება მოიცავს მათი სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის შეფასებას.

პერსონალის შეფასების შედეგების გამოყენებისა და პერსონალის განმავითარებელი აქტივობების შესახებ ინფორმაცია მოწოდებული იყო დაწესებულების მიერ და დამატებით იქნა გამოთხოვილი გასაუბრებების დროს. აღსანიშნავია, რომ პერსონალის კვლევითი საქმიანობა, პერსონალის მოტივაციის ასამაღლებლად, აისახება პრემიებში. შესაბამისად, პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგები გამოიყენება პერსონალის ანაზღაურებისა და მოტივაციისთვის.

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით ეწყობა პერსონალის განმავითარებელი ღონისძიებები. კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების განმახორციელებელი პერსონალი მონაწილეობს პერსონალის განვითარების აქტივობებში, მათ შორის, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ ორგანიზებულ აქტივობებში, ტრენინგებსა და სამუშაო შეხვედრებში, მაგალითად: ხარისხის კულტურა და ხარისხის გაუმჯობესების უწყვეტი პროცესი, ცოდნის მართვა, კურსის მონიტორინგი და ევროპული სტანდარტები, განათლება მდგრადი განვითარებისთვის, სოციალურ მეცნიერებათა ინსტიტუტის პოლიტიკის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, საბიბლიოთეკო სერვისებთან და სამეცნიერო ბაზებთან მუშაობის ტრენინგები, GIZ-ის მხარდაჭერით ორგანიზებული ტრენინგები, ტრენინგები სწავლის შედეგების ჩამოყალიბებაზე, ტრენინგები კვალიფიკაციების ეროვნულ ჩარჩოზე, ონლაინ სწავლისთვის პერსონალის უნარებისა და კომპეტენციების განმავითარებელი ღონისძიებები და ა.შ. ასევე, ანტიპლაგიატისა და გამოქვეყნების ტრენინგებს ესწრებოდა პროგრამების განმახორციელებელი პერსონალი.

დადასტურებულია დაწესებულებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ძალისხმევა პერსონალის განვითარებისა და პერსონალის განვითარებისთვის საჭირო აქტივობების მხარდაჭერის პროცესში, თუმცა, ჯერ კიდევ საჭიროა პერსონალის განმავითარებელი აქტივობების მხარდაჭერის გაზრდა კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სპეციფიკაზე ფოკუსით. კერძოდ, პროგრამების მიზნებიდან გამომდინარე, მეტი ყურადღება უნდა გამახვილდეს შემოქმედებით პროგრამებზე და მოხდეს საერთაშორისო და ადგილობრივ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, ხელოვნების წარმომადგენლებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო პრაქტიკოსებთან დაკავშირება. ასევე, მიზანშეწონილია მოწვეული პრაქტიკოსების მიერ აქტიურად ჩატარდეს საერთაშორისო და ადგილობრივი სემინარები და მასტერკლასები. ზემოაღნიშნული უზრუნველყოფს დიზაინის შემოქმედებითი სამყაროსა და დარგის პრაქტიკოსების მჭიდრო კავშირს, რაც ხელს უწყობს პერსონალის, პროგრამებისა და სტუდენტების განვითარებას.

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების განმახორციელებელი პერსონალი ასევე მონაწილეობს სამეცნიერო საგრანტო პროექტებში, თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, „დიზაინისა და ტექნოლოგიების“ დეპარტამენტში ამჟამად 3 სამეცნიერო საგრანტო პროექტი ხორციელდება. მაგალითად, 2022 წლიდან ხორციელდება შოთა რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტი ქართული ტრადიციული ორნამენტისა და ტექსტილის ტრადიციული და თანამედროვე გზების შესახებ. პერსონალი მხარდაჭერას იღებს სამეცნიერო კვლევით საქმიანობასა და კონფერენციებში მონაწილეობისთვის. მაგალითად, მოთხოვნის საფუძველზე, დაწესებულებამ

ფინანსურად უზრუნველყო ერთ-ერთი თანამშრომლის კონფერენციაში მონაწილეობა. მიუხედავად ამისა, პროგრამის ბიუჯეტი არ ასახავს პერსონალის განვითარების აქტივობებს და გასაუბრების შედეგებზე დაყრდნობით, აქტივობები ფინანსდება ცენტრალური უნივერსიტეტის, ან ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რაც საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერის შეფასებას რთულად შესაფასებელს ხდის. საკითხი განხილული იქნება 4.5 სტანდარტის შეფასებასა და ანალიზში.

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების განმახორციელებელი დეპარტამენტი მჭიდროდ თანამშრომლობს იმავე პროფილის უცხოურ უნივერსიტეტებთან. ყველაზე მჭიდრო თანამშრომლობა არის რეგიონისა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან: უკრაინა, აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთი და ა.შ. მემორანდუმები ასევე გაფორმებულია ევროპის უნივერსიტეტებთან, მაგრამ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა გაძლიერებას საჭიროებს (მაგ. ჩეხეთი, იტალია, ლიეტუვა). ევროპულ უნივერსიტეტებთან ურთიერთობის გაღრმავებისთვის, თანამშრომლობის დაგეგმვისა და განხორციელებისთვის, მათ შორის დასავლური უნივერსიტეტების გამოცდილების და კარგი პრაქტიკის გაზიარებისთვის, საჭიროა პერსონალის ინგლისური ენის ცოდნის მხარდაჭერა. აწსუ მხარს უჭერს პერსონალს ინგლისური ენის ცოდნის ამაღლებაში, თუმცა ინგლისური ენის კომპეტენციის მქონე პერსონალის რაოდენობა დაბალია. უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციისა და პერსონალის განვითარების სწრაფვის მხარდასაჭერად, განსაკუთრებით დიზაინის სფეროში, საჭიროა ინგლისური ენის სამუშაო დონეზე ცოდნა, შესაბამისად, რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა განაგრძოს დამხმარე პერსონალის მხარდაჭერა, შესთავაზოს ინგლისური ენის პროგრამები და აუმაღლოს მოტივაცია მონაწილეობა მიიღოს აღნიშნულ განმავითარებელ საქმიანობაში.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრების შედეგები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები;
- ინფორმაცია პერსონალის განვითარების საქმიანობის შესახებ;
- ინფორმაცია პერსონალის შეფასების შედეგების გამოყენების შესახებ;
- აწსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის და ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტების წლიური სასწავლო, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვის ნორმების დამტკიცების შესახებ" ( № 65(18/19)10.07. 2019);
- ურთიერთდასწრება და კლასში მუშაობის შეფასების პოლიტიკა;
- მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი გრანტები და საქმიანობა.

#### კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

პროგრამების მიზნებიდან გამომდინარე, აუცილებელია მასწავლებელთა უწყვეტი განვითარებისათვის შესაბამისი ღონისძიებების შემუშავება (უწყვეტი განათლების პროგრამები, საგანმანათლებლო და შემოქმედებითი პროგრამები, მუდმივი კონტაქტები საერთაშორისო და ადგილობრივ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, ხელოვნების წარმომადგენლებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო პრაქტიკოსებთან) და საერთაშორისო და ადგილობრივ სემინარებისა და მასტერკლასების აქტიურად ჩატარება

მოწვეული პრაქტიკოსების მიერ.

**კლასტერის საერთო რჩევები:**

გაგრძელდეს პერსონალის ინგლისური ენის ცოდნის ამაღლების მხარდაჭერა, რაც ხელს შეუწყობს კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების საერთაშორისო მისწრაფებებს.

**არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

\*\*\*\*\*

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (მოდის დიზაინი, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (დიზაინი ტექსტილის და ინტერიერისთვისაინი, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (მოდის დიზაინი, მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**4.4. მატერიალური რესურსი**

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი

საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

---

**კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება**

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები ტარდება საკლასო ოთახებსა და ლაბორატორიებში, სადაც მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ძირითადად შეესაბამება ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის მხატვრული და შემოქმედებითი დაგეგმვისა და ტექნოლოგიის სასწავლო კურსების განხორციელების პროცესს. **ადგილზე ვიზიტიდან ირკვევა, რომ აღჭურვილობა საკმაოდ მოძველებულია, საჭიროა საგნების მიხედვით დაემატოს უფრო მაღალი ხარისხის, თანამედროვე მოწყობილობები და სხვა რესურსი.**

საკლასო ოთახები აღჭურვილია სამიზნე აღჭურვილობით, კომპიუტერებით, პროექტორებით, მაგრამ სივრცე, დიზაინის მხრივ უნდა იყოს მეტად შემოქმედებითი, ვიდრე ტექნიკური ლაბორატორიები.

სასწავლო და საწარმოო და კვლევითი ლაბორატორიები უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათების სისტემებით, გათბობით, შენობაში თვალსაჩინო ადგილას არის მოთავსებული ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობა, პირველად დახმარებას უწევს ექიმი და ექთანი. შენობას აკონტროლებს ვიდეო სამეთვალყურეო სისტემა. ეზოს და შენობას იცავს დაცვის სამსახური. საგანმანათლებლო პროცესს უნდა გააჩნდეს პრაქტიკული საქმიანობისთვის საჭირო სამუშაო მასალა, ძირითადი და დამხმარე მასალები, თუმცა სამწუხაროდ, მტკიცებულებები მხოლოდ **დაბალი ხარისხის ძირითადი მასალის** ხელმისაწვდომობაზე მეტყველებს.

ფაკულტეტის სტუდენტებისა და პედაგოგიური პერსონალის საქმიანობის გათვალისწინებით, შესაბამისი კრიტერიუმებისა და მათი წილის გათვალისწინებით, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით, თანხებს რიცხავს ფაკულტეტზე, სადაც სახსრები საგანმანათლებლო პროგრამების საჭიროებების შესაბამისად იხარჯება. **რჩევაა, რომ ფაკულტეტის ფულადი სახსრები გაიზარდოს.**

საგამოცდო ცენტრი უზრუნველყოფს კლასტერში გაერთიანებული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას; უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზები; კომპიუტერული ცენტრები უახლესი კომპიუტერული ტექნიკით, რომლებიც დაკავშირებულია ინტერნეტთან და აღჭურვილია შესაბამისი პროგრამული პაკეტებით.

უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სამეცნიერო ბაზების შესახებ, სადაც აწეს-ს სტუდენტებსა და თანამშრომლებს საშუალება აქვთ გაეცნონ დარგის თანამედროვე მიღწევებს. სტუდენტები ეცნობიან საბიბლიოთეკო რესურსებს, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი რეგულარულად ატარებს გაცნობით შეხვედრებს, მათ შორის სამეცნიერო მონაცემთა ბაზების გამოყენებაზე.

კურსის განმახორციელებელი პერსონალის მიერ შედგენილი სპეციალიზებული ლიტერატურა, პროგრამის ყველა კურსის სილაბუსში, ქართულ ენაზეა მითითებული და სრულად არის **განთავსებული უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდში წიგნის სახით, ბეჭდური ან/და ელექტრონული ფორმით.** ასევე მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის ლიტერატურა განახლდეს საერთაშორისო ლიტერატურით. ელექტრონული ვერსიები, როგორც უნივერსიტეტში, ასევე ონლაინ მასწავლებელთან უშუალო კონტაქტის გზით არის ხელმისაწვდომი სტუდენტისთვის. დისტანციური სწავლების დროს, ყველა საჭირო საგანმანათლებლო რესურსი ჯგუფებს Microsoft Teams-ის პლატფორმის მეშვეობით მიეწოდება.

სტუდენტებს აქვთ **შეუზღუდავი** წვდომა უნივერსიტეტის ელექტრონულ კატალოგსა და ელექტრონულ ბიბლიოთეკაზე <http://elibrary.atsu.edu.ge/lms/>, სადაც შეუძლიათ ადვილად მოიძიონ

მათთვის საჭირო სასწავლო რესურსები, მათ შორის, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ შექმნილი ელექტრონული ლექციები/ტრენინგ კურსები. **თუმცა ადგილზე ვიზიტის შედეგებზე დაყრდნობით, არ იყო ბევრი შესაბამისი ლიტერატურა.** უნივერსიტეტს გააჩნია ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის ონლაინ კატალოგის სერვისი (OPAC). ბიბლიოთეკას აქვს წვდომა ელექტრონულ მონაცემთა ბაზებზე და სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ ბიბლიოთეკის შემდეგი სამეცნიერო რესურსებით.

#### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (მოდის დიზაინი, ბაკალავრიატი)**

უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უზრუნველყოფს „მოდის დიზაინის“ საბაკალავრო პროგრამის ამოცანების შესრულებას და სასურველი სწავლის შედეგების მიღწევას.

სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან სამუშაო მასალებით, ხოლო ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები შეზღუდვის გარეშეა ხელმისაწვდომი, კერძოდ: საჭირო აპარატურით აღჭურვილი საკლასო ოთახები, საკონფერენციო ოთახები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სასწავლო ოთახები, ბიბლიოთეკა, FabLab-ი სტუდენტებს სთავაზობს მრავალფეროვან მიზნობრივ აქტივობებს.

უნივერსიტეტს აქვს წვდომა საერთაშორისო ბიბლიოთეკების მონაცემთა ბაზებზე, პანდემიასთან და დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით, უნივერსიტეტმა სტუდენტებს საშუალება მისცა საერთაშორისო ბიბლიოთეკების მონაცემთა ბაზებზე უნივერსიტეტის გარეთ ჰქონოდათ წვდომა. პროგრამით გათვალისწინებული ქართული ლიტერატურა და სახელმძღვანელოები ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის ფონდში. თუმცა სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, სასურველია სასწავლო გეგმებში მიეთითოს საერთაშორისო ლიტერატურა.

#### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (დიზაინი ტექსტილის და ინტერიერისთვის, ბაკალავრიატი)**

უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უზრუნველყოფს „დიზაინი ტექსტილის და ინტერიერისათვის“ საბაკალავრო პროგრამის ამოცანების შესრულებას და სასურველი სწავლის შედეგების მიღწევას.

სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან სამუშაო მასალებით, ხოლო ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები შეზღუდვის გარეშეა ხელმისაწვდომი, კერძოდ: საჭირო აპარატურით აღჭურვილი საკლასო ოთახები, საკონფერენციო ოთახები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სასწავლო ოთახები, ბიბლიოთეკა, FabLab-ი სტუდენტებს სთავაზობს მრავალფეროვან მიზნობრივ აქტივობებს.

უნივერსიტეტს აქვს წვდომა საერთაშორისო ბიბლიოთეკების მონაცემთა ბაზებზე, პანდემიასთან და დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით, უნივერსიტეტმა სტუდენტებს საშუალება მისცა საერთაშორისო ბიბლიოთეკების მონაცემთა ბაზებზე უნივერსიტეტის გარეთ ჰქონოდათ წვდომა. პროგრამით გათვალისწინებული ქართული ლიტერატურა და სახელმძღვანელოები ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის ფონდში. თუმცა სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, სასურველია სასწავლო გეგმებში მიეთითოს საერთაშორისო ლიტერატურა.

#### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (მოდის დიზაინი, მაგისტრატურა)**

უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უზრუნველყოფს „მოდის დიზაინის“ სამაგისტრო პროგრამის ამოცანების შესრულებას და სასურველი სწავლის შედეგების მიღწევას.

სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან სამუშაო მასალებით, ხოლო ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები შეზღუდვის გარეშეა ხელმისაწვდომი, კერძოდ: საჭირო აპარატურით აღჭურვილი საკლასო ოთახები, საკონფერენციო ოთახები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სასწავლო ოთახები, ბიბლიოთეკა, FabLab-ი სტუდენტებს სთავაზობს მრავალფეროვან მიზნობრივ აქტივობებს.

უნივერსიტეტს აქვს წვდომა საერთაშორისო ბიბლიოთეკების მონაცემთა ბაზებზე, პანდემიასთან და დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით, უნივერსიტეტმა სტუდენტებს საშუალება მისცა საერთაშორისო ბიბლიოთეკების მონაცემთა ბაზებზე უნივერსიტეტის გარეთ ჰქონოდათ წვდომა. პროგრამით გათვალისწინებული ქართული ლიტერატურა და სახელმძღვანელოები ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის ფონდში. თუმცა სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, სასურველია სასწავლო გეგმებში მიეთითოს საერთაშორისო ლიტერატურა.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსები
- „დიზაინი და ტექნოლოგიების“ დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროფილი;
- საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის კვლევის პროფილი: <http://atsu.edu.ge/index.php/technological-research-profile-geo>;
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის VII და XIII კორპუსებში „დიზაინისა და ტექნოლოგიების“ კათედრის კომპიუტერული ცენტრი, კაბინეტი-ლაბორატორიები, აუდიტორია და ლაბორატორიული ინფრასტრუქტურა;
- უნივერსიტეტის სასწავლო დარბაზები;
- უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო მომსახურება - <https://library.atstu.edu.ge/>; - <https://www.cambridge.org/core>; - <http://www.eifl.net/e-resources/oxford-journals-collection> - <https://www.dukeupress.edu>; <https://us.sagepub.com/en-us/nam/IMEche>; - <https://www.sciencedirect.com/science/jrnll1books/sub/artsandhumanities>; - <https://www.scopus.com/home.uri>.

#### კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

#### კლასტერის საერთო რჩევები:

სასურველია, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, აქტიურად იყოს წარმოდგენილი საერთაშორისო ლიტერატურა (ტექნოლოგიის საერთაშორისო მიღწევები, მეთოდოლოგიური მიდგომები ტექნოლოგიაში, თეორეტიკოსების ნაშრომები/ანალიზები, თანამედროვე კატალოგები, საგანმანათლებლო ვიდეოები, დოკუმენტური არქივები);

სასურველია Flalab-ის სივრცე აქტიურად გამოიყენონ „ინტერიერისა და ტექსტილის დიზაინის“ სტუდენტებმა, მაგალითად, სტარტაპებისა და სტუდენტური პროექტების განსახორციელებლად, ინოვაციური იდეებისა და პროტოტიპების შესაქმნელად, სასწავლო

კურსების ჩასატარებლად და ა.შ.

სასურველია ინდივიდუალური სტუდიური აღჭურვილობის ხარისხის ამაღლება;

სასურველია სახელოსნოების სივრცითი შესაძლებლობის გაუმჯობესება და მისი მყუდრო და კრეატიული ვიზუალის შექმნა.

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

\*\*\*\*\*

## შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი				
პროგრამა 1 (მოდის დიზაინი, ბაკალავრიატი)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (დიზაინი ტექსტილის და ინტერიერისთვის დიზაინი, ბაკალავრიატი)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (მოდის დიზაინი, მაგისტრატურა)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>



#### 4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების ბიუჯეტის ჩამოყალიბებას არეგულირებს აწსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს No.175 დადგენილება - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფის დასაბუთების პრინციპების შესახებ; პროგრამის ბიუჯეტის დაგეგმვა ხორციელდება პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებული ხარჯებისა და სპეციალურად შემუშავებულ ფორმაზე დაყრდნობით.

პროგრამების შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს სწავლის საფასური, რომლის საფუძველზეც ანგარიშდება პროგრამის ბიუჯეტი, ასევე, ფაკულტეტებს ეძლევა თავისუფალი ხარჯვის ლიმიტები. კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების ბიუჯეტი ფინანსურად მიღწევადია და უზრუნველყოფს პროგრამების განხორციელებას, თუმცა, პროგრამების განვითარებისთვის საჭირო ზოგიერთი ხარჯი მკაფიოდ არ არის განსაზღვრული ბიუჯეტში ან არ არის საკმარისი. გასაუბრების შედეგებზე დაყრდნობით, სხვა ხარჯები, როგორებიცაა პერსონალის განვითარების ხარჯები ან ზოგიერთი შემოქმედებითი ან სამეცნიერო აქტივობის ხარჯები, შეიძლება დაეკისროს ფაკულტეტის ან/და ცენტრალური უნივერსიტეტის ბიუჯეტს, თუმცა, მიზანშეწონილია, რომ პროგრამის ბიუჯეტები ნათლად ასახავდეს სფეროს და პროგრამების განვითარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ შემოქმედებითი საქმიანობა, როგორც წესი დაკავშირებულია ხარჯებთან. დაწესებულებაში პროგრამებისა და დარგის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად საჭიროა კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების განვითარებისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსების გაზრდა.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (მოდის დიზაინი, ბაკალავრიატი)**

მოდის დიზაინის საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტი გამოითვლება შემდეგი ტიპის ხარჯებზე დაყრდნობით:

- სწავლების/აკადემიური ხარჯები, პროგრამის საკონტაქტო საათების მიხედვით (30639.4);
- პრაქტიკული კომპონენტის ხარჯები (800);
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ხარჯები (3000);

- სხვა ხარჯები, შედგენილი: კომუნალური ხარჯების, გადასახადების, ინფრასტრუქტურის განვითარების ხარჯების და სხვა ხარჯებისგან (სულ - 13600).

პროგრამას აქვს 0.1%-იანი რისკის დაზღვევა. 1 ჯგუფზე გათვლილი პროგრამის ხარჯებიდან გამომდინარე, სტუდენტების ოპტიმალური რაოდენობაა 23. პროგრამის დაფინანსების წყაროა სტუდენტების სწავლის საფასური.

პროგრამის ბიუჯეტის ანალიზის მიხედვით, არ არსებობს შემოსავლის ალტერნატიული წყაროების შესახებ ინფორმაცია, რაც შეეხება პროგრამის ბიუჯეტის ეკონომიკურ შესაძლებლობას, სწავლის საფასურიდან მიღებული შემოსავალი საკმარისია ბიუჯეტში ასახული პროგრამის ხარჯების დასაფარად. თუმცა, როგორც 4.3 სტანდარტის აღწერასა და ანალიზშია აღნიშნული, პროგრამის ბიუჯეტი არ ასახავს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს და არც შემოქმედებით საქმიანობას. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამას აქვს პუნქტი „სხვა ხარჯები“, არ არის ნათელი, რა ბიუჯეტია გამოყოფილი პროგრამის განვითარებისთვის, პერსონალის განვითარების აქტივობების ჩათვლით. გამოყოფილი რესურსები არ ჩანს საკმარისი პროგრამის განვითარებისთვის, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ მოდის დიზაინი ძვირადღირებული პროგრამაა.

#### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (დიზაინი ტექსტილის და ინტერიერისთვისზაინი, ბაკალავრიატი)**

„დიზაინი ტექსტილის და ინტერიერისთვისზაინის“ საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტს აქვს იგივე სტრუქტურა და ხარჯების გამომწვევი მიზეზები, რაც მოდის დიზაინის საბაკალავრო პროგრამას. სასწავლო/აკადემიური ხარჯები და ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის ხარჯები თითქმის მსგავსია, მაგრამ ინფრასტრუქტურის განვითარების ხარჯები (1000) და სხვა ხარჯები (2300) გაცილებით დაბალია.

პროგრამის ბიუჯეტი ასახავს სწავლის საფასურიდან მიღებულ შემოსავალს და ეკონომიკურად მიღწევადია თუმცა პროგრამის განვითარებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი ბუნდოვანია, როგორც მოდის დიზაინის ბაკალავრიატის პროგრამის შემთხვევაში.

#### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (მოდის დიზაინი, მაგისტრატურა)**

როგორც აღინიშნა, კლასტერში დაჯგუფებულ პროგრამებს აქვთ მსგავსი სტრუქტურა და მსგავსი ხარჯების მამოძრავებელი ძალა, შესაბამისად, „მოდის დიზაინის“ სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტის აღწერა ფოკუსირებულია პროგრამის ბიუჯეტის მხოლოდ სხვადასხვა ასპექტზე. სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტი მოიცავს პროგრამის კვლევის კომპონენტთან დაკავშირებულ ხარჯებს, კერძოდ, პერსონალის ხარჯებს. „სხვა ხარჯების“ საბიუჯეტო პუნქტი 1500 ლარს შეადგენს, ხოლო ინფრასტრუქტურის განვითარების ბიუჯეტი არ არის.

მოდის დიზაინის სამაგისტრო პროგრამისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი ეკონომიკურად მიღწევადი და საკმარისია პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარად, მაგრამ კიდევ ერთხელ, არ არის ნათელი, არის თუ არა ბიუჯეტი პროგრამის განვითარებისთვის საკმარისი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება №175 - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფის დასაბუთების პრინციპების შესახებ;
- კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების ბიუჯეტები;
- გასაუბრების შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

რეკომენდებულია კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების განვითარებისთვის საჭირო ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

**კლასტერის საერთო რჩევები:**

მიზანშეწონილია, რომ კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების პროგრამული ბიუჯეტი მოიცავდეს პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ხარჯს, მათ შორის პერსონალის განვითარებას.

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: -**

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (მოდის დიზაინი, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (დიზაინი ტექსტილის და ინტერიერისთვისზაინი, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (მოდის დიზაინი, მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

## პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (მოდის დიზაინი, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 ( დიზაინი ტექსტილის და ინტერიერისთვის დიზაინი, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (მოდის დიზაინი, მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და ანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

### 5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

#### კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების პერსონალი თანამშრომლობს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში.

მოწოდებული დოკუმენტების ანალიზის, თვითშეფასების ანგარიშის, თვითშეფასების ჯგუფის შეხვედრების ოქმებისა და ზოგადად პროგრამების განვითარების პროცესის, ასევე თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის პერსონალთან და ხარისხის სამსახურთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგებზე დაყრდნობით, თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის პროცესი და აკრედიტაციისთვის პროგრამების განვითარება იყო გუნდის ერთობლივი ძალისხმევა.

თვითშეფასების ჯგუფი შედგებოდა ყველა შესაბამისი მხარისა და დაინტერესებული პირისგან და მათში პასუხისმგებლობის დელეგირება უზრუნველყოფდა თითოეული მხარის წვლილს. შიდა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, როგორებიცაა სტუდენტები და აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, პროცესში ჩართულნი იყვნენ გარე დაინტერესებული მხარეები, როგორებიცაა დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები. წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში არის ინფორმაციული და გვთავაზობს პროგრამების შეფასებასთან დაკავშირებულ შესაბამის ინფორმაციასა და ანალიზს, რასაც გუნდის მუშაობა სრულყოფს.

კლასტერში დაჯგუფებული სამი პროგრამიდან ორი ახალია (დიზაინი ტექსტილის და ინტერიერისთვისაინი, ბაკალავრიატი; მოდის დიზაინი, მაგისტრატურა) და პროგრამების უწყვეტი გაუმჯობესება ხარისხის შიდა მექანიზმების გამოყენების გზით შეუძლებელია. თუმცა, მოწოდებული დოკუმენტები, არსებული პროგრამისთვის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელების მტკიცებულებები და გასაუბრების შედეგები აჩვენებს, რომ კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი ეფუძნება PDCA ციკლს და აღნიშნული მიდგომა გამოყენებული იქნება ახლად შემუშავებული პროგრამებისთვისაც.

აწსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურა და კლასტერში დაჯგუფებულმა პროგრამებმა, წესის მიხედვით, გაიარა შიდა შეფასების შემდეგი ეტაპები:

1. იდეის განხილვა, ლიდერების შერჩევა – დამტკიცება;
2. ძირითადი მახასიათებლებისა და რესურსების შეფასება;
3. პროგრამის და მისი შემადგენელი კომპონენტების (პროგრამა, სასწავლო გეგმა, სილაბუსები, დანართები და სხვა) შემუშავება, განხილვა და დამტკიცება.

აწსუ-ში დანერგილი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და ინსტრუმენტები ითვალისწინებს ონლაინ/დისტანციური სწავლების პროცესებისადმი მოდიფიკაციას. კერძოდ, პანდემიით გამოწვეული დისტანციური სწავლების დროს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ჰქონდა წვდომა სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე ყველა ჯგუფში, რაც საშუალებას აძლევდა დაკვირვებოდა პროცესს, მიეღო დროული გადაწყვეტილებები და დახმარებოდა სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა აკადემიურ პერსონალს ორჯერ წარუდგინა შუალედური შეფასება და რეკომენდაციები დისტანციური სწავლების შესახებ, Microsoft Teams-ის ჯგუფში სტუდენტებისთვის გამოაქვეყნა ინფორმაცია პლაგიატისა და აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ, რაც მნიშვნელოვანი იყო სტუდენტების შეფასებისა და საგამოცდო პროცესის სათანადოდ წარმართვისთვის. ასევე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, დეკანატსა და ადმინისტრაციასთან ერთად, ჩართული იყო აკადემიური პერსონალის ინდივიდუალურ კონსულტირებაში.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრების შედეგები;
- "აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია" აკადემიური საბჭოს დადგენილება - №49 (17/18), 09.02.2018 წელი;
- „დიზაინი და ტექნოლოგიების“ დეპარტამენტისა და ფაკულტეტის სხდომის ოქმი პროგრამის დამტკიცებისა და განხილვის შესახებ;
- თვითშეფასების ჯგუფის სხდომის ოქმი;
- უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები;
- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნები პროგრამებზე.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: -

კლასტერის საერთო რჩევები: -

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: -

## შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1 შიდა ხარისხის შეფასება				
პროგრამა 1 (მოდის დიზაინი, ბაკალავრიატი)	●	□	□	□
პროგრამა 2 (დიზაინი ტექსტილის და ინტერიერისთვის დიზაინი, ბაკალავრიატი)	●	□	□	□
პროგრამა 3 (მოდის დიზაინი, მაგისტრატურა)	●	□	□	□

## 5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები რეგულარულად იყენებს ხარისხის გარე უზრუნველყოფის შედეგებს.

„მოდის დიზაინის“ საბაკალავრო პროგრამა აკრედიტებულია 2011 წელს („გამოყენებითი დიზაინი“) და პროგრამა ასრულებს აკრედიტაციის რეკომენდაციებს. პროგრამის განხორციელების პერიოდში, კერძოდ 2011-2018 წლებში, პროგრამის თვითშეფასების ანგარიში მზადდებოდა ყოველ წელს და იგზავნებოდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. ასევე, რეგულაციებისა და ხარისხის უზრუნველყოფის გარე მოთხოვნების ცვლილებების საფუძველზე, პროგრამამ განიცადა ცვლილებები და შესაბამისი გარე ხარისხის შეფასება. მაგალითად, 2019-2020 წლებში პროგრამა შეესაბამებოდა დარგის კლასიფიკატორის ახალ მოთხოვნებსა და

კვალიფიკაციების ჩარჩოს, შესაბამისი ანგარიში გაეგზავნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, განიხილეს და დამტკიცდა აკრედიტაციის საბჭოზე.

კლასტერში დაჯგუფებულმა პროგრამებმა ხარისხის განვითარების მიზნით ასევე გაიარა ექსპერტების, დამსაქმებლებისა და კოლეგიური შეფასება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრების შედეგები;
- გარე ექსპერტების შეფასება.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** -

**კლასტერის საერთო რჩევები:** -

**არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** -

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 5.2 გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (მოდის დიზაინი, ბაკალავრიატი)	•	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (დიზაინი ტექსტილის და ინტერიერისთვის დიზაინი, ბაკალავრიატი)	•	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (მოდის დიზაინი, მაგისტრატურა)	•	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

### 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება**

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციის შესაბამისად, კერძოდ, მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურის საფუძველზე, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროგრამების შეფასებისთვის, განვითარებასა და განახლებისთვის. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის არსებული პოლიტიკისა და პრაქტიკის, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელების შედეგების ანალიზის საფუძველზე, არსებობს ხარისხის უზრუნველყოფის კარგად დამკვიდრებული სისტემა, ხოლო პროგრამის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება შესაბამისი დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, მონაცემთა სისტემური შეგროვების, შესწავლის და ანალიზის გზით, ხოლო შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველწლიურად შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას, რომელიც ასახავს ხარისხის უზრუნველყოფის ყველა პროცესს, მექანიზმს და მათ ვადებს. ასევე, უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის საფუძველზე ანგარიშის წარდგენა. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამზადებს ანგარიშს ცენტრალური ხარისხის სამსახურისთვის, რომელიც თავის მხრივ წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სამოქმედო გეგმებისა და ანგარიშების ანალიზის საფუძველზე, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ხორციელდება სტუდენტების, აკადემიური პერსონალის, დამსაქმებულების, კურსდამთავრებულების ჩართულობით, ასევე ითვალისწინებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგს, კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზს, პერსონალის აქტივობების განვითარების ანალიზს, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ანალიზს, კოლეგიური დაკვირვების პროცესს. ზემოთ აღწერილი და სამოქმედო გეგმაში გაწერილი შეფასებების საფუძველზე, პროგრამის განვითარების ციკლი მოიცავს პროგრამის განვითარებისთვის საჭირო ქმედებების იდენტიფიცირების ფაზას, მოქმედებების/ცვლილებების შემუშავების ფაზას და ცვლილებების განხილვისა და განხორციელების ფაზას. ანგარიშგება ხორციელდება ამ ფაზების შესრულების შემდეგაც. პროგრამების განვითარების კიდევ ერთი ინსტრუმენტია თვითშეფასების პროცესი.

სამოქმედო გეგმა ასევე მოიცავს სხვადასხვა აქტივობას, როგორებიცაა მობილობის პროცესი, პერსონალის განვითარების აქტივობები და ა.შ.

სტუდენტების გამოკითხვა ტარდება ყოველ სემესტრში, თითოეული სემესტრის ბოლოს სტუდენტები აფასებენ მათ მიერ შესწავლილ სასწავლო კურსებს. შედეგები ანალიზდება და მზადდება ანგარიში. მაგისტრანტებს საშუალება აქვთ შეაფასონ ხელმძღვანელობის პროცესი. გამოკითხვები ტარდება ონლაინ, გუგლის ფორმების გამოყენებით. პროგრამებს ასევე პერიოდულად სხვა უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებს ადარებენ.

შესაბამისად, უზრუნველყოფილია კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების პერიოდული მონიტორინგი და გადახედვა, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში ჩართულია ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარე და შედეგები გამოიყენება პროგრამების განვითარებისთვის.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“;
- თვითშეფასების ანგარიში;



- გასაუბრების შედეგები;
- პროგრამის თვითშეფასება 2011-2018 წწ.;
- უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები;
- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2022-2023 წლების სამუშაო გეგმა;
- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2022-2023 სასწავლო წელს ჩატარებული კვლევების ანალიზი;
- შუალედური და დასკვნითი გამოცდების შედეგების მონიტორინგი და მათი ანალიზი;
- პროგრამის საექსპერტო დასკვნები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: -

კლასტერის საერთო რჩევები: -

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: -

### შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (მოდის დიზაინი, ბაკალავრიატი)	●	□	□	□
პროგრამა 2 (დიზაინი ტექსტილის და ინტერიერისთვისზაინი, ბაკალავრიატი)	●	□	□	□
პროგრამა 3 (მოდის დიზაინი, მაგისტრატურა)	●	□	□	□

### პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (მოდის დიზაინი, ბაკალავრიატი)	●	□	□	□
პროგრამა 2 ( დიზაინი ტექსტილის და ინტერიერისთვისზაინი, ბაკალავრიატი)	●	□	□	□
პროგრამა 3 (მოდის დიზაინი, მაგისტრატურა)	●	□	□	□

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულები სახელწოდება:

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო

პროგრამების სახელწოდება, საფეხურები:

მოდის დიზაინი, ბაკალავრიატი;

დიზაინი ტექსტილის და ინტერიერისთვისზაინი, ბაკალავრიატი;

მოდის დიზაინი, მაგისტრატურა.

### პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

პროგრამა სტანდარტი	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
პროგრამა 1 (მოდის დიზაინი, ბაკალავრიატი)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (დიზაინი ტექსტილის და ინტერიერისთვისზაინი , ბაკალავრიატი)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 3 (მოდის დიზაინი, მაგისტრატურა)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

### ხელმოწერები

### აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

მარია შტრანეკოვა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ნინო მგალობლიშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა

მარიამ მახარაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა  
თინათინ გაბრიჩიძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა  
ნინო ჯავახიშვილი